

1992/2

ISSN 0132-6015

ქართული  
ლიტერატურა


# გაერთიანებული ნოვარი ექვნი

## გალაქციონს



სხვან თუ არ უნდა ამის გაგება,  
 უნდა გაიგებდნენ ნაკვი და ფიჭვი, —  
 რომ ვინ არა ვარ და მანდაცაა, —  
 არამედ კაცი რწმენით და იზრით,  
 რომ მოგვალაშიც ავიტან მრავალს  
 უაზინდობას, წუხრვილს, სიტყვას,  
 თლონდ ვხედავდით ჩვენ ვინ მიხედავს  
 ერთი იმდის უახს მოტიმციმეს,  
 დაბრკოლებათა ათასგვარ საგანს,  
 შეურაცხუროფის სუსხსაც ავიტან,  
 თლონდ ვხედავდით სიტყვას სიგანს  
 ჩემი საშოჯლოს სანახავიდან,  
 მარტოგანსაც ავიტან შვარეს,  
 უმეგობრობას ავიტან მძიმეს,  
 ჩემი საშოჯლოს სანახავიდან  
 თლონდ ვხედავდით უახს მოტიმციმეს.

*ქალაქი*



# ნიანუნი

№ 21-24

1992 ნოემბერი  
დეკემბერი



# გულაკტიონი

ნაწახვატი

იუჯილიაგმა წალეკეს ყველაფერი. ვისაც მეტი გაქცევა-გამოქცევის ნიჭი ჰქონდა, მეტი პომპეზურობით მართავდა სალამოს.

გალაკტიონი!

სული შეკაწრება, როცა მის უკანასკნელ იუბილეს ვიგონებ, არადა, თარიღი ფრიად შთამბეჭდავი გახლდათ — სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის ორმოცდაათი წლისთავი. სრული ნახევარი საუკუნე, ეხუმრებით!



გალაკტიონი მოუსვენრობდა სავარძელში, მალიმალ გააპარებდა თვალს ქოსა ბენუარისაკენ და ყასიდად უსმენდა ორატორებს, რომლებიც ჯარდა „ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტისა“, სხვა ეპითეტს ვერ იმეტებდნენ, ხოლო გენიოსის დამსახურება ლამის იმ ფაქტამდე დაჰყავდათ, რომ მან პირველმა ახსენა ქართულ პოეზიაში ლენინი...

სალამოს დამთავრების შემდეგ ორად ორი კაცი მიბიჭებდა ვერის დაღმართზე. გალაკტიონი ნერვიულად მიიქნედა გაქეჩილ პორტფელს და მეთად კითხულობდა:

— ა, ხომ დიდებულად ჩაიარა იუბილემ?

გამხნევენას ეძებდა ღმერთკაცი.

ჩაბნელებული სადარბაზო დუმილით იარა, აკანკლებული ხელით ძლივს მოარგო გასაღები საკლიტულს და გაბრაზებით მოისროლა პორტფელი.

...გალაკტიონის ჩანაწერები აღსავსეა ასეთი ფრაზებით: „სალამო ჩამიშალეს“, „ისევ მიმტრეს“, „რა დავუშავე?“, „გამაგრდი, გალაკტიონ, შენ მაინც გამიბარჯე...“

...ერთნი აცხადებენ — შეუძლებელია მისი თარგმნა.

მეორენი პირდაპირ წერენ — ცისფერი წიგნების დაუმალეს იგი ევროპასო.

მესამენი ფრთხილობენ — იქნებ თვით გალაკტიონის უგერგილობა იყოს მიზეზიო...

დე, ისტორიკოსებმა იველიონ ეს საკითხი. ჩვენ კი რეალობისადმი თვალის გასწორება და მდგომარეობის გამოსწორებისათვის ზრუნვა გვმართებს.

გალაკტიონი პირველხარისხოვანმა პოეტებმა უნდა ააუღერონ ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად, სპარსულად თუ იაპონურად...

...იქნებ გალაკტიონის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაზეც გვეზრუნა. თორმეტტომეულის დაბეჭდვით კარგი საქმე გაკეთდა. მაგრამ დიდად პროდუქტიული კალმოსნის შემოქმედება სრულად მაინც ვერ წარმოჩინდა. ბევრი ლექსი, პოემა, მოთხრობა, ლიტერატურული ესკიზი, თარგმანი თუ ჩანაწერი გამომზეულებას ელის.

...პოეტთა მეფე ბრძანებდა:

დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია,  
თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეპყვერი,  
და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,  
მე ტფილისი ავირჩიე ბებერი.

და ამ თბილისში, სადაც გალაკტიონის ხმა ახლაც წკრიალებს, სადაც მისი ნაფხურები ჟამს ვერ წაუშლია, მემორიალური მუზეუმი არ უნდა გვქონდეს?! ვიცი, ამ საქმეს ჰყავს პატრიოტები, მოქმედება დაწყებულია, მაგრამ ხომ უნდა დაგვირგვინდეს დროულად?!

უკაცრავად, არსებითი გამისხლტა — თავიდათავი გალაკტიონის ახლებურად წაქითხვია!

და კიდევ რამდენი დიდი თუ პატარა საკითხია გადასაწყვეტი.

...მე მიზნად არ დამისახავს საიუბილეო ღონისძიებათა ნუსხის შედგენა. ამას ჩემზე კარგი სპეციალისტები ჰყავს. მე მხოლოდ ერთი იდეა მამოძრავებს — დაუყოვნებლივ დაიწყოს საქმე, სიღრმე და მასშტაბი მიეცეს მას, გალაკტიონის სახელი მსოფლიო მერიდიანზე გავიტანოთ. („შშიმე ქვების ქუსლებით დავყვარდნობი პოლიუხს“).

გალაკტიონის იუბილე მხოლოდ ქართული სიტყვის, მხოლოდ ქართული ლექსის ზეობა როდია!


ეს არის სიწმინდისა და ქედუხრელობის იუბილე!

ეს არის საყვარელი საქმისა და მამულისათვის თვითშეწირვის იუბილე!..

ეს არის სულიერი ამალლებისა და ზნეობრივი გაფაჩივების იუბილე!..

...სრულიად საქართველო, და არა მხოლოდ საქართველო, ელის საზეიმო ზარების გუგუნს!

სიტყვა ნაწყვეტი გამოგვიყვანებს უფრო მეტს ვიდრე დიდი მსჯელობა!





2074



პოეზია —  
უპირველეს ყოვლისა!

„საქართველო მუდამ იამაყებს სამი გენიოსის სახელით. ესენი გახლავთ: რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ხანდახან აგრე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედევრებს ვერ დაწერდნენ. მე, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება... მსოფლიო პოეზიაში მე არ მეგულება პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრი ჰქონდეს. მე აგრე ვვარაუდობ: გალაკტიონზე სიჭაბუკეში განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინეს ვერლენმა და ედგარ პომ, მაგრამ სრულიად მიუდგომლად ვამბობ: გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, მე ვიტყვოდი, შორს გადააჭარბა“.

სული გვექონდეს უსპეტაკეს თოვლისა!  
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება  
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ  
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,  
მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი  
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,  
ყველაფერში შუქით შემობურვილი:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,  
მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჭყერის.  
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა:  
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

*ქაიხარაძე უპირველეს*

*ქაიხარაძე*



ცხედართა გროვა თვალწინ გვიწყვია  
(ეხლა ომია),  
ციფრი არ გვშველის, მათი რიცხვია  
ასტრონომია.

\* \* \*

ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,  
უხვად მოიტანა სისხლი და  
ცხედრები!..

გამჟული, გემის, როგორ  
გეძახის?

გამჟული, გემის, როგორ გეძახის?  
ომმა შეცვალა დარის დარება.  
ვაუკაც სიზანტე ეხლა ეძრახვის —  
გასაგებია, რომ გეჩქარება!

სანატრელი დღე მალე დადგება,  
შენ გაიმარჯვებ ყველაზე ჩქარა!  
შთამომავლობას გამოადგება  
შენ მიერ ბრძოლით განვლილი შარა!

### დანგრეული სახლი სოხუმში

როგორც სიმსივნე გადასარევი  
ან მოწამლული რაზე იარა,  
ისე ფაშიზმი — მან მღვრიენარევი  
ნიღვარით გადმოიარა.

მან საკუთარი გადისხნა ქალა  
და ქვეზე თვისი დაახსნა ტვინი.  
ეხლა, შეხედეთ, ვით გაქრა ძალა,  
როგორ მიიხსნება მომხდურის უინი!

სოხუმში სახლი, ნგრეული მაშინ,  
მწად არის თავი მალა აიღოს:  
სიმართლეს სწორად შეხედოს  
თვალში,  
რანაირიც ის არ უნდა იყოს!..

\* \* \*

სამშობლოს ჩვენსას ბევრი ომი  
გადუტანია,  
მრავალ ქარიშხალს გვიხატავდა  
ცხოვრება ქართლის,  
ის თავდადების და გმირობის  
მატიანეა.  
ემსახურება იმ ხმალს ჩვენი  
ხმალი სიმართლის!

### ირაკლი, მომგვამი ასი ომის

ყოველი მხრიდან ბერავდა ქარი,  
მაგრამ ქართველი ქედს არ იხრიდა,  
ოდეს სამშობლოს გარს ერტყა  
ჯარი —

ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

და ხმალს ფერავდა მეფე ირაკლი  
და იგი ხმალი ელვასებრ ჭრიდა.  
ერთ მებრძოლს ასი ეხვია მტერი —  
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

ლომო ირაკლი, იბრძოდი ისე,  
შენს ხმალს არასდროს ბედი არ  
სცრიდა.  
და გოცებას იყო მსოფლიო —  
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

მრისხანე სტვენა იმა ხმალისა  
მტერს და მუხანათს შიშის ჯარს  
ჭვრიდა,  
და ქება ქუხდა ირაკლის ძალის —  
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან.

გამარჯვებული ბრუნდება ჯარი,  
მზე ეღვარებად იფრქვევა ციდან,  
შენი, სამშობლოვ, შენი ირაკლი,  
ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან!

### არც ერთი ომი არ წაგვიგინა

ჩემთვის ეს წამი მკაცრი წამია,  
მოველი, როგორც წესი, რიგია,  
თვით საქართველოც დღეს მოწამეა,  
რომ უმკაცრესი ომი, მამია,  
არ წაგვიგია.

ვით მძლეა ჩვენი ადამიანი,  
მთავარი მასში ეხლა იგია,  
რომ მიწა, ჩვენი მიწა მზიანი,  
როსმე დაშლილი, ეხლა მთლიანი  
არ წაგვიგია.

უსაშველო რამ ქვეყნად არ არის,  
იმ ძველი ძვლების ხმა გაგვიგია,  
რა ძვირფასია ხმა ლაშაჰ მხარის:  
ერთი ომიც კი, ერთი რა არის,  
არ წაგვიგია.

არ წაგვიგია არც ერთი ომი,  
მტერთა დროშები ფერხთ გაგვიგია,  
განისვენებდნენ, პოეტო ლომო,  
ომი საერთო და სათვისტომო.  
არ წაგვიგია.

### სისხლი

საშინელია — იგრძნო უეცრად,  
რომ აღარ დგანან ძველი კაკლები.  
შენი სახელი მათ მიუეცრათ —  
მხეცი! — არც შეტი და არც ნაკლები.

რომ მუხლებამდე სისხლის მორევი  
გხვრის და მშობლიურ ცხედრებს  
ეხები.  
კმაყოფილი ხარ მათი მორევით,  
ყელამდე სისხლში მიღის ფხები.

შენ გახარებს, რომ სისხლის მიზევი  
ხარ და თანა გდევს ხალხის გოდება,  
შენ ბოროტება ხარ უმტკიცესი,  
მკვლელი — ეს არის შენი წოდება.

ო, ყველამ იგრძნო, რომ მოკვდა  
ყველა  
და ყველა გიცქერს მუნჯი  
ყვედრებით,  
შენგნით არავის არ უნდა შეველა,  
შენ სამარემდე მიხვალ ცხედრებით.

ო, რა თქმა უნდა, ცხედრები მუდამ  
სდუმანო, მაგრამ სისხლი მწარდება,  
სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა!  
სისხლი არასდროს არ დაწყენარდება!

იმედი, შენი ბრძოლის საგანი,  
მოულოდნელმა ქარმა ახვეტა,  
მოღუშულია შენი საკანი,  
ხვალ უსათუოდ გელის დახვრეტა!

### ფიჭვი ბიჭვინთის

მწვერვალზე მიღის ღრუბელი  
შვინდის,  
დაეჭვებულა ფიჭვი ბიჭვინთის.

იმ მწვერვალისკენ მივყავარ ბინდის  
მხოლოდ და მხოლოდ გულსა და  
სინდისს.

მწვერვალზედა შლის ცა ნისლის  
ფანტელს,  
მივყავარ მხოლოდ სიმართლის  
კანდელს.

დაე, მოვარდეს თუნდაც გრიგალი,  
აქ ვდგავართ მე და ფიჭვი ბიჭვინთის.







# ერისთავი „მეცნიერების“ მკვლევარი

მთი ახალი დამთავრებული იყო. შიმშილისა და გაჭირვების მიუხედავად ჩვენ — სკოლა ახალ-დასრულებულები გალაკტიონის პოეზიით „ვბოდავდით“.

ერთ საღამოს (ახალი გაზაფხული იყო თუ ზამთარი, ზუსტად არ მახსოვს) გადავწყვიტეთ შინ ვწვეოდით დიდ პოეტს და ჩვენი სიყვარული და თავყანისცემა გაგვემხილა (მასთან უშუალო შეხვედრა ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო).

თუ მეხსიერება არ მღალატობს, იმ საღამოს ოთხმა სოლოლაკელმა ბიჭმა მოვიყარეთ თავი, რუსთაველის გამზირზე ბოლთას ვცემდით და, როგორც ძალიან ხშირად, გალაკტიონზე ვლაპარაკობდით (მისი ლექსების უმეტესობა ყველამ ზეპირად ვიცოდით). ჩვენი იმდღევანდელი სოლოლაკური არიფიონის წევრები იყვნენ: ჩემი ძმა ზურა, რომელიც იმ ხანებში თვითონაც წერდა ლექსებს, ჩემი ბავშვობისა და სიყრმის უახლოესი მეგობარი ოთარ ბურჯანაძე, რომელიც მაშინ დავითაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა, შემდეგ ცნობილი დასტაჟარი რომ გახდა და რომლის უდროო წასვლამ შეუხორციელებელი კრილობა დაავითრთოვა ბავშვობის მეგობრებს (ოთარი დღემდე ექიმის იდეალად მესახება, რომლის ბუნებრივ მოთხოვნილებას ამჟვეყანად სიკეთისა და ღიმილის თესვა წარმოადგენდა), ირაკლი ნანეიშვილი, თავის დროზე ვუნდერკინდი, ფენოპენური მეხსიერების პატრონი, რომელმაც საბავშვო ბაღის ასაკში თამაშ-თამაშით ისწავლა თითქმის ყველა ვეროპული ენა და რომელიც, ჩემი აზრით, საბოლოოდ არასწორი პროფესიული ორიენტაციისა („ღინასტიურად“ მისი ოჯახი სამედიცინო განხრისა იყო) და უნებისყოფობის გამო დაიღუპა (ირაკლი ადრიდანვე დაუშობილდა ბახუსს და სპონტანური განგრენაც შეიძინა). იგი მაჩაბლის ქუჩაზე ბინადრობდა. მე, ერთადერთი რომ შემოვრჩი ცოცხალი წუთისოფელს

ამ არიფიონიდან, მაშინ ჩემს ძმასთან ერთად ძერჟინსკის ქუჩაზე ვცხოვრობდი.

პოდა, იმ საღამოსაც ბევრი ვილაპარაკეთ გალაკტიონზე და უცებ ერთ-ერთმა ჩვენგანმა (ზუსტად რომელმა, აღარ მახსოვს) გამოთქვა მეტიმეტად თამამი სურვილი: მოდი, ბატონ გალაკტიონს შინ ვესტუმროთ, ვნახოთ, გავიცნოთ, ჩვენი სიყვარული გავეუმხილოთ, ხომ არ გამოგვაგაღებსო.

მცირეოდენი ყოყმანისა და მორიდება-კრძაღვის დაძლევის შემდეგ, ცხადია, ქვეითად მივადექით გალაკტიონის სახლს (მაშინ სადი იყო ამდენი მანქანა და, რაც მთავარია, ფეხით სიარული სავსებით ბუნებრივი და თავისთავად ცხადი მოთხოვნილება გახლდათ — ახლა ორ ნაბიჯზეც კი უმანქანოდ ფეხის გადადგმა გვიჭირს ხოლმე)... ცოტა შეშინებულნი, აღელვებულნი, უხმაუროდ ავუყვევით სახლის კიბეს და პოეტის კარზე ზარი დავრეკეთ თუ დავაკაკუნეთ, ზუსტად არ მახსოვს. კარი არავინ გაგვიღო. ერთხანს ვიდექით... ასე ადვილად ვერ ვვლევდით ჩვენთვის სანუკვარ სამყაროში შეღწევის სურვილს, მაგრამ როცა დავრწმუნდით, რომ შინ არავინ იყო, გულდაწყვეტილებით გამოვბრუნდით უკან, ჩამოვედით კიბეზე მდუმარედ და სწორედ სახლის წინ გალაკტიონი დავინახეთ. ჩვენი დანახვა არ ესიამოვნა, ჩვენ მივვარდით: თქვენთან ვიყავით, თქვენ შინ არ დავვიხვდით-თქო. გალაკტიონმა მუდარის გამომხატველი სახე მიიღო, თავი ოდნავ უკან გადახარა და გვითხრა (მე დაახლოებით აღვადგენ საუბრის შინაარსს, ზუსტი ფრაზეოლოგიური თუ ლექსიკური იგივეობის პრეტენზია არა მაქვს, რადგან მას შემდეგ დიდი ხანი ვავიდა, და, სამწუხაროდ, მე მაშინ არაფერი ჩამინიშნავს): — მე ერთი საწყალი პოეტი ვარ, არა მბაღია რა, მე რას ვაღამეკიდეთ, ჩემთან რა უნდა ნახოთ — და ა. შ.

მაშინვე ვერ მივხვდით, რას გვეუბნებოდა, მაგრამ მცირე ხანში ყოველი ჩვენგანისათვის უცნაურ ნახევარ-გალაკტიონს ქურტყვები — მეგონათქმისი ბინის გასატეხად მისულნი... სახტად დავრჩით, თითქოს ყინულივით ცივი წყალი გადაგვასხეს: ჩვენს სათაყვანო ადამიანს გარეწრები, ნაძირალები ვეგონეთ... წმინდა ადგილას „სალოცავად“ მისული „ბილიგრამები“ არამზადებად მიგვიღეს... (გალაკტიონს არ გაემტყუნებოდა, მაშინ ქურდობა თავისებური „მოღა“ იყო, ბევრ კარგ ოჯახიშვილს წაუტა და მაშინ ხელი).

... და უცებ ირაკლი ნანეიშვილმა, რომ დაემტკიცებინა ქურდები არ ვიყავით და ცოტა ალბათ წაიკეკლუცა კიდევ, დაიწყო ვერლენის ლექსის დეკლამირება დედანში:

„ქანცვაწყვეტილი გარიჟრაჟი შინდორ-ველს გადააფრქვევს...“

„მეტამორფოზა“ ანაზლად მოხდა, გალაკტიონმა თავი კიდევ უფრო უკან გადააგდო, ახლა იგი ცას უყურებდა, სახიდან დაექვეებისა და ყასიდი მუდარის გამომეტყველება გადაეყარა და ფრანგულადვე განაგრძო:

„მეღანქოლიას ჩამავალ მზეთა...“

შემდეგ გულითადი საუბარი დავიწყეთ, ბოლიში არ მოუხდია, საუბარი სულ 5-10 წუთი გაგრძელდა. ამ საუბრიდან დამახსოვდა ბატონი გალაკტიონის ნათქვამი: ჩვენ, მწერლები, ყველაზე ღარიბები, ყველაზე უმადური ხელოვნების წარმომადგენლები ვართო, მაინც ნათქვამი აქვსო: მწერლობა ყველაზე უპურო ხელოვნებააო (მაინც ეს ციტატი რუსულად მოიყვანა პოეტმა, მერე მოგვეფერა, დავვიყვავა, გვითხრა, წადით ახლა, ძამიკოებო, სახლებში, ალბათ, თქვენები გელოდებიანო და შეტრიალდა, კიბეზე აბანცალდა...)

ჩვენ ერთ ხანს გაუნძრევლად, გაქვავებულებივით ვიდექით. ხმა ვერ ამოგველო, არ გვინდოდა ჩვენი პათეტიკური ჰყლოპინით, ანდა რაიმე ბანალური ფრაზით გამოვსულიყავით ამ „სიზმრიდან“ თუ „ტრანსიდან“.



ვალაკტიონს არც უკითხავს, ვინ ვიყავით, რა გვარისა, საიდან მოვედით, რა გვინდოდა. ის მიხვდა, რომ მისი თავგადაკლული თავყვანის-მცემლები ვიყავით და სხვა წვრილ-მანი აღარ აინტერესებდა... იმასაც მიხვდა, რომ მისი ბინის გასატეხად არ ვიყავით მისულნი, რადგან მაშინ ჩვენი ქურდები ვერლენს ორიგინალ-ში ჰერ კიდევ ვერ კითხულობდნენ...


P. S. ერთი კაცი იყო თბილისში, რომელსაც გარკვეული ხანი საფრანგეთში ეცხოვრა და, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი ყორესთან ერთი შეხვედრის გახსენება (ხშირად იტყოდა ხოლმე: მე ყორესს პირადად ვიცნობდი, მქონდა ბედნიერება მას ერთხელ პირადად შეხვედროდიო), როცა ჩაპკითხავდნენ. საღ და როგორც. ეს კაცი ამაყად იხსენებ-

და: ერთხელ ყორესი პარიზში სიტყვით გამოდიოდაო, უამრავი ხალხი იყო მის მოსასმენად მოსული და მე იძულებული ვიყავი ძალიან ახლოს ყორესის ფეხებთან ჩავსუტყუროყავიო. ყორესი შეწუხდა, ფეხი ოდნავ გამკრა და მითხრა: გაიწი აქედანო! მეც ამ კაცის მდგომარეობაში ხომ არა ვარ?!

(წიგნიდან „სახალთვესო და სალიტერატურო კოლაჟები“).



...  
 იმ ჯოჯობეთის ვიკონებ ვარვარს,  
 ბევრჯერ რომ იმის კარებთან ვმდგარვარ,  
 და დაგიხსნივარ მზიური დღისთვის,  
 გმადლობ, სამშობლოვ, სიყვარულისთვის!  
 ურშობის დღიდანვე ბედი მხვდა ცხარე,  
 გზაგანუყრელი და თავმოყვარე,  
 სხვა წაგებდა, მე ოქროს ვადნობ...  
 მფარველობისთვის, სამშობლოვ, გმადლობ!  
 აღვიგე ძეგლი, მზისა მსგავსება,  
 დავიწყებით რომ არ იხავსება,  
 საიმსოფლიო და საამსოფლო  
 დაფასებისთვის, გმადლობ, სამშობლო!



...  
 ჩაში რთულ ნიღაბით იყო სული ნიღაბის,  
 ვარ უცნოვი ყველა სათვის ასეთ სულსავეთებით,  
 ვინც კოცობდა გაგზარდა, ოღონდ შენ წავიდუბანი,  
 თვალს არ გაგმობადევენს ცრემლის მკვივე წვეთებით

**არ ღირს იმ ერთ ცრემლად**

მთელი ღრინაღალი ყველა კოცობის,  
 დაუსრულავალი როცა კავითია,  
 არ ღირს იმ ერთ ცრემლად, თვალს რომ მოედავის  
 და ღმმა მოგონებამ მე რომ დამათია.  
 მაგრაჟ დაცემული არვის ვენახვები,  
 თუმცა მრავალია გულში დაგუბული,  
 როგორც ყვავილები, როგორც ვენახები,  
 დაუსრულავალი, სტაჟით დაღუპული.  
 შენ ნუ დავცემი, შენ ნუ შეზინდავი,  
 გულის უდაგნოსთან ბრძოლას ეგ არ იგაბს,  
 ყველა ამოტა, ჯერ არ შეგიინდებია.  
 მხოლოდ გამარჯვება გედთან შეგვარებებს!



# გალაკტიონ ტაბიძე



**გალაკტიონ ტაბიძე** უსაზღვროდ შეყვარებული იყო აფხაზეთზე: მის პოეტურ ხედვას ასაზრდოვებდა აფხაზეთის ბუნების თვალწარმტაცი ლანდშაფტები, რამაც გალაკტიონ ტაბიძის ფერწერულ ლირიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. აფხაზეთს გალაკტიონმა მრავალი ლექსი უძღვნა. ამ ციკლის ერთ-ერთ ლექსში პოეტი თავის დამოკიდებულებას აფხაზეთისადმი ასე გადმოგვცემს:

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!  
ლურჯო მთებო, თეთრო  
სანატორია,  
მომენატრა მზე სინათლის მფენი,  
მომენატრა ზღვა, რომელიც  
შორია.

მომაგებე შენ იგივე პალმა,  
სად ოდესმე მშვენნიერმა ქალმა  
გაღიწერა ჩუმაღ ლექსი ჩემი,  
მომაგებე მშობლიური მიწა,  
შენი ძველი მეგობარი მიცანი  
გალაკტიონ ტაბიძის სოხუმში ჩამოსვლასთან დაკავშირებით თხოვნით მივმართეთ საქართველოს და-

მსახურებულ პედაგოგს, ქალბატონ ალექსანდრა ნემსაძე-მილორაგას, რომელმაც ასეთი მოგონება ჩაგვაწერინა: 1926 წლის შემოდგომაზე სოხუმში ჩამოვიდა დიდი მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონის ჩამობრძანებამ უდიდესი სიხარული გამოიწვია აფხაზეთის ქართულ საზოგადოებაში. ლიტერატურული საღამოს შემდეგ ქართველმა პედაგოგებმა გალაკტიონს გავეუმართეთ ვაშში მეთრე რვაწლიან სკოლაში, რომლის გამგე იყო დეაწლმოსილი პედაგოგი მაქსიმე ცაავა. სუფრას თამაღობდა პირველი რვაწლიანი სკოლის პედაგოგი ნიკოლოზ ვეკუა (შემდგომში — სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, შ. ნ.). ვაშშიმმა მხიარულად ჩაიარა, გალაკტიონმა სუფრაზე თავისი ლექსები წაგვიკითხა.

მეთრე რვაწლიანი სკოლა ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა — უძველესი ციხე-სიმაგრის ნანგრევებთან. მეთრე დღეს ამ ციხე-სიმაგრის ნანგრევებზე გალაკტიონთან ერთად გადავიღეთ ფოტოსურათი, სადაც

აღბეჭდილი არიან პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები, მოსწავლეები, მუშა-მოსამსახურეები (ფოტოსურათის სიძველის გამო ჟურნალში მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა).

მომდევნო, 1927 წლის 2 აპრილს სოხუმელებმა გალაკტიონ ტაბიძეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადეს. პოეტის იუბილე ფართოდ გააშუქა სოხუმის მაშინდელმა პრესამ.


აფხაზეთზე უზომოდ შეყვარებული პოეტი სოხუმში დამკვიდრებაზე ფიქრობდა. 1949 წელს გალაკტიონის ნატვრა ასრულდა: მას მთის რაიონში გამოუყვეს მიწის ნაკვეთი, სადაც პოეტმა სახლი აიშენა.

ამჟამად გალაკტიონის სახლი გაყიდულა. ვფიქრობთ, ქართველი საზოგადოება გულგრილი არ უნდა დარჩეს ამ ფაქტის მიმართ. ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, დავებრუნოთ გალაკტიონ ტაბიძის სახლი და აქედანვე შევეუდგეთ მისი სახელობის სახლ-მუზეუმზე ფიქრს!

**შალვა ნაფხვიია**  
(ჟურნალი „რიწა“, № 1, 1991 წ.)



# ქართული ლექსები



## ქალაქი


ქალაქი, სუფთა  
ზამთრის ველივით,  
შრილებს ღამით,  
თუ ღელავს დღისით,  
მარადის ფიქრობს,  
რომ ყოველივე  
იწყება მისით,  
თავდება მისით!

ქალაქი მრავალს  
იჩენს მარიფათს,  
ქალაქი მოდის  
რაგინდ რაფერი:  
იყო, არის და  
რჩება ღარიბად...  
სწერთ? ქალაქია,  
სხვა არაფერი!

მაგრამ მოვიდა  
ერთხელ მგოსანი,  
შემოქმედება  
აზრს შეუწავა,  
ვეფხის — დაარქვა  
მას — ტყაოსანი  
და საუკუნე  
გააუკვდავა!

\*\*\*  
— არ ვეგონა, არ ელოდი  
და, აი, მოხდა:  
არ მოხერხდა წყალისაგან  
ღვინის გამოხდა.  
— მე ვეგონა, მე ველოდი  
და ველოდები,  
რომ სიმართლის ზეს ვერ მოგრებს  
შხამის ტოტები.  
— თუ სიმართლე სიშიშვლეა,  
არა ნამუსი,  
გაიხადეთ, რად გპირდებით  
ტანისამოსი?

\*\*\*  
ირაკლის, გოგლას და სერგის  
გარდა აქ, ჩემო ძაშია,  
აჩქარებითა სოფელა,  
არავის მოუჭამია!



რაკი დავისვეს  
წინ ჰილაია,  
უნდა ავიღოთ  
ჰინუილაია!

ბრიყვო, ხმა გაქმინდე,  
ნუ მიცქერ აღმაცერ,  
რაც გულით არ მინდა,  
ერთ სტრიქონს არ დავწერ!

საქმეს უსაქმობა სჯობს  
და გშირობას — ღაჩრობა,  
პოეზიის სუნთქვას სძობს  
პოეზიით ვაპრობა!

\*\*\*  
ურემს გერჩიოს „ფიატი“,  
რომ შექმნა რამე ღიადი!

\*\*\*  
ეს გულბაათ ჰავვაფაძე  
ოთხ ინდაურს ჰამს — ჰამაზე.

\*\*\*  
თითზე ვთვლიდით ნამდვილ პოეტს,  
ეხლა კი გვყავს მილიონი,  
არ არიან ილიანი,  
გავვიმრავლდნენ ალიონი!

\*\*\*  
ერთმა ბრიყვმა ასე სვექა: —  
მე არ ვიცი ცეკა-შეკა,  
ცეკა-შეკა არ არისო  
ჩემთვის შედინა და შექა!

\*\*\*  
არვინ გაცმევს ჭვარზე  
მხოლოდ იმის გამო,  
რომ არ იცი მარქსი,  
რომ არ იცი კამო.  
ვის არ უყვარს ღელე  
და ლაუვარდი ღამე,  
მხოლოდ სისულელე  
არ წამოგცდეს რამე!

\*\*\*  
თუმცა საწყალი მგოსანი ვარ,  
არ გამაჩნია  
ამ ქვეყანაზე დედობილი  
ან მამობილი,  
ამ ხეტალით მე ფხებზე  
სისხლი მაჩნია,  
გაშოშიგწავნე, ნერგეთო,  
ავტომობილი!



# „თავუბნისათვის გაუგებარია კაცის იუპორი!“



1947 წელი იყო, მაშინ რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვმუშაობდი. იმ წელს გამოიცა ჩემი ლექსების წიგნი „დაბადება“. პლენანოვის პროსპექტზე (ამჟამად — დავით აღმაშენებლის პროსპექტი), სადაც მღებარეობდა მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ხშირად შევხვედრივარ გალაკტიონ ტაბიძეს, მაგრამ ვერასდროს გამებედა მასთან მისვლა და გაცნობა. წიგნის გამოცემა ამისათვის კარგი საბაბი გახდა. დავეწერე გენიალური გალაკტიონისადმი მიძღვნილი გულთბილი აკროსტიქი „გალაკტიონ ტაბიძე“ და დღიდანვე „დავუდარაჩდი“ მას, 11 საათისათვის პროსპექტზე გამოჩნდა გალაკტიონი. დიდი მღელვარებით მივუახლოვდი მას, მივესალმე და გავეცანი, გავუწოდე წიგნი და სქელ ქალღმერთს ლამაზად დაწერილი აკროსტიქი. ლამაზაკ-ლაპარაკით შეუმჩნევლად მივუახლოვდი იმ პროსპექტისა და მარჯანიშვილის ქუჩის კუთხეში მდებარე ლუდხანას (სხვათა შორის, ეს ლუდხანა დღემდე არსებობს) და შევედი შიგ, იქ გალაკტიონს ყველა იცნობდა. პოეტმა გადაფურცლა წიგნი, ხმაამოუღებლივ წაიკითხა ორი-სამი ლექსი, მკითხა, საიდან ვიცნობდი ალექსანდრე აბაშელს, რომელიც ჩემი წიგნის რედაქტორი იყო, და მას კარგი პოეტი უწოდა. მირჩია, აკროსტიქი აღარ დამეწერა, რადგან, როგორც მან მითხრა, ეს თითიდან გამოწოვილი ლექსია, ნამდვილი ლექსი კი გულიდან უნდა მოდიოდეს და არ უნდა ეფუძნებოდეს რაიმე მათემატიკურ ფორმულებს, როგორც ამას ვედემირ ხლენიკოვი აკეთებდა. მე დავეთანხმე მას და ვთქვი, რომ აბაშელს მეც კარგ პოეტად მივიჩნევდა, რომელსაც პირადად ჩემთვის ბევრი რამ გაუკეთებია, მაგრამ პოეტთა მეფე მაინც იგი, გალაკტიონი, არის!

— ჩვენ ერთი მეფე გვყავს, და ძალზე მოხარული ვარ, რომ გავიცანი იგი. ყველას როდი ხვდება ასეთი ბედნიერება! — ვუთხარი ბატონ გალაკტიონს.

ჩემდა გასაოცრად, გალაკტიონი მოიღუშა და დამრიგებლური კილოთი მითხრა:

— მე ჩემ თავს მეფეს არ ვუწოდებ. ასე მიწოდა ხალხმა და მიწოდა ლექსისათვის „მთაწმინდის მთვარე“. საოცარია, მაგრამ ეს ლექსი დაიწერა არა თბილისში, არამედ ფოთში, 1915 წელს. იქვე წავიკითხე იგი პირველად. თავდაპირველად ლექსს ეწოდებოდა „მომაკვდავი გედის სიმღერა“. თბილისში იგი წავიკითხე უკვე მას შემდეგ, რაც ფოთიდან ჩამოვედი რომელიღაც კონკურსში მონაწილეობისათვის. მაშინ ასეთი კონკურსები ხშირად ეწყობოდა, პოდა, სწორედ მაშინ ქართველმა პოეტებმა ერთსულოვნად მომანიჭეს პოეტების მეფის საპატიო წოდება!

— ასეთი ლექსის გამო შეიძლება ბოდა და საჭიროც იყო ამ საპატიო წოდების მონიჭება, — ვთქვი მე. — ასეთი ლექსი არსად და არასდროს შემხვედრია. ეს არის ბრწყინვალე ლექსი მთაწმინდაზე!

— არ ხარ მართალი, ყმაწვილო! — არ დაეთანხმა ჩემს აზრს ბატონი გალაკტიონი. — უკეთესი ლექსიც არსებობს.

და მან წაიკითხა:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,  
 შემყურებს ცისკრის  
 ვარსკვლავსა,  
 მნათობი სხივებს მალღით  
 ჰფენს  
 თავდადებულის საფლავსა.  
 დადუმებულა მთაწმინდა,  
 ისმენს დუღუნსა მტკვრისასა:  
 მდინარე ნანას უმღერის  
 რაინდსა, ურჩსა მტრისასა...  
 მთაწმინდა გულში იხუტებს  
 საშვილიშვილო სამარეს,  
 მამადავითსა ავედრებს,  
 აბარებს ქვეყნის მოყვარებს...

გალაკტიონი დადუმდა, ჩაფიქრდა, შემდეგ მკითხა:

— იცი, ყმაწვილო, ვინ არის ამ ლექსის ავტორი?


— ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცი.

— დიდი აკაკი წერეთელი...  
 ლექსს ეწოდება „განთიადი“. ეს ლექსი ეძღვნება მეორე დიდ ქართველს დიმიტრი ყიფიანს, რომელიც მხეცურად მოკლეს თავში ფუთიანი გირის ჩარტყმით რუსმა „წმინდა მამებმა“, როცა მას ეძინა. აი, აკაკი ნამდვილი მეფეა, მას თავისი წინამორბედებიც ჰყავს, აბა, გაიხსენე, რამდენი წერეთელია! და ყველა თავადია, მეფის კარზე დაახლოებული ხალხი. გალაკტიონი კი ერთია, თანაც, მღვდლის შვილი! გახსოვდეს, ყმაწვილო, მეფეს ჰყავს წინამორბედნი, ბრძენთ კი — მასწავლებლები! — და მან მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.



იმ წლებში ხშირად დავდიოდი საქართველოს მწერალთა კავშირში, ვიყავი სხვადასხვა კონფერენციის, თათბირის დელეგატი და მონაწილე, ბევრს ვთარგმნიდი ქართულიდან რუსულად და ჩემს ნაწარმოებებსაც თარგმნიდნენ ქართულ ენაზე ჩემი მეგობარი პოეტები. მაგრამ კავშირის კედლებში იშვიათად შევხვედრივარ გალაკტიონს. ერთხელ, როცა კავშირიდან ვბრუნდებოდი, შევხვდი მას კიროვის ქუჩაზე (ამჟამად





\*\*\*

1958 წლის მარტში ქალაქ რუსთავის ლიტერატურულმა გაერთიანებამ და რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ გალაკტიონი მიიწვიეს მის პატივსაცემად გამართულ საღამოზე. მეტალურგთა კულტურის სასახლის დარბაზი ხალხით იყო სავსე, გააღეს ყველა კარი და ადამიანები იდგნენ ფოიეში, ზივებზე, სასახლის ირგვლივ!.. ყველას სურდა გალაკტიონის ნახვა. მან წაიკითხა სამი ლექსი: „ახალგაზრდობას“, „ევ არის და გორის ციხე“ და „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

ბანკეტის მოლოდინში შეხვედრის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მეტალურგიული ქარხნის მუშაკმა გიორგი თხელიძემ გამოთქვა აზრი, რომ სასახლეში გაემართათ მინიშეხვედრა ქადრაკში გალაკტიონთან. გადაწყვიტეს, ეყარათ წილი, თუ ვისთან ითამაშებდა იგი. ბატონმა გალაკტიონმა უარი განაცხადა წილისყრაზე და თქვა:

— რადგან თხელიძემ შემომთავაზა თამაში, მანვე ითამაშოს. მოვსინჯოთ ძალები, მე არ ვარ წინაღმდეგი!

დათქვეს, მხოლოდ ორი პარტია ითამაშათ. გალაკტიონი ურიგოდ არ თამაშობდა. აიძულებდა დანებებას „მეტოქის“ ფიგურებს, მაგრამ, მოულოდნელად, აშკარად სუსტი სვლა გააკეთა. რაც შამათის მომასწავებელი იყო. დამსწრეთაგან გაოცება ვერავინ დამალა. გალაკტიონმა მაშინვე შენიშნა, რომ სუსტი სვლა გააკეთა და დააბრუნა ფიგურა უკან. მისმა გულშემბატვივრებმა შვებრით ამოისუნთქეს. თხელიძეს არ მოუხდენია რეაგირება ამაზე და ახალ სვლას ელოდა, მაგრამ გალაკტიონმა კვლავ გაიმეორა მცდარი სვლა და თქვა:

— კარგად ვიცი ქადრაკის თამაშის წესები. თუ გააკეთე სვლა, მისი უკან დაბრუნება აღარ შეიძლება. ასეა ბრძოლის ველზეც. თუ შეტუშვირე შუბლი ტყვიას, აღარ უნდა შეგეშინდეს და აღარ უნდა გამოიჭიცი უკან!

ორი-სამი სვლის შემდეგ გალაკტიონი დამარცხდა, მაგრამ მეორე პარტია მოიგო. როგორც ჩანს, თხელიძემ შეგნებულად წააგო გალაკ-

ტიონისადმი მისი უღრმესი პატივისცემის გამო და, როცა მაგიდიდან დგებოდა, ოდნავ ეღიმებოდა კიდევ გალაკტიონმა ყურადღებით შეხედა მას და თქვა:

— საოცარია, ყმაწვილო, წააგე და მაინც გელიმება!.. დამარცხებულს არასდროს არ ეღიმება ხოლმე. ნამდვილი მოჭადრაკე თუ აგებს, ძალზე განიცდის, და თანაც როგორ განიცდის: ხშირად ცრემლებამდეც კი მიდის ხოლმე!

ამჯერად გალაკტიონმაც გაიღიმა და განაგრძო:

— მე კი იმიტომ მეღიმება, რომ დიდი სიამოვნება მივიღე შეხვედრის, თამაშისა და იმისგან, რომ მრავალი ახალი მეგობარი შევიძინე. კარგი იქნება, უფრო ხშირად რომ გაიმართოს ასეთი შეხვედრები!..

გიორგი ლეონიძის ქუჩა) და ვუთხარი, რომ ვბრუნდებოდი იუმორისტ მწერალთა თათბირიდან, რომელზეც გამოდიოდნენ ბესო ულენტი, ნიკოლოზ ჩაჩავა, სიკო ფაშალიშვილი... და გამოეთქვი გულისტკივილი იმის გამო, რომ გალაკტიონი არ ესწრებოდა მას.

— სამწუხაროა, რომ თქვენ იშვიათად ესწრებით ასეთ თათბირებს, და საერთოდ, კავშირში გამართულ ყრილობებს, კონფერენციებს! — ვუთხარი მე.

— მე კი არ ვწუხვარ, — მიპასუხა გალაკტიონმა. — ეს ხომ დროის კარგვაა, რომელიც ჩვენ, პოეტებს, ისედაც ბევრი არ გავგაჩნია ლექსების დასაწერად. და, რაც მთავარია, — გაელიმა მას. — არ მსურს დასწრება: თავგებისათვის გაუგებარია კატის იუმორი!..

\*\*\*

**ერთხელ** მე და პოეტმა არნონელმა სასაუბროდ მივიწვიეთ გალაკტიონი ელბაქიდის დაღმართზე მდებარე პატარა სასადილოში. იგი დაგვთანხმდა. მაგიდასთან ბატონმა გალაკტიონმა ასე დაგვმოძღვრა:

— ამტკიცებენ, რომ სმა მავნებელია ჯანმრთელობისათვის. ამას ვერ დავეთანხმები. ოდი თვანვე ხომ, როცა ამ მავნე სასმელით სავსე ფიალას ასწევდნენ ხოლმე, ამბობდნენ: „გაუმარჯოს!..“ ამ თეორიას პრაქტიკას ვერაფრით ვერ ვუკავშირებთ.








# გალაქიონის პარიაზიები თანაგულროვე თემაზე

თავდადებულ ბრძოლებისთვის  
ნახევარ  
გზაზე არ მსურს ახლა უკან დახევა.  
ღვას ზამთარი სურდოსი და  
ხველისა:  
პოეზია — უპირველეს ყველისა!



საგაზრო ეპონომიკა

ვერ ვძლებ მხოლოდ სურვილით,  
თუ მშობი და მწყურია.  
მოვალ ნიახურივით?  
რა დროს ნიახურია!  
არ ისურვეს ახვრებმა  
ფასის ოდნავ მოკლება...  
მაშინ რა მეხახვება,  
ან რა მებოლოკება!

## კონკი

მოეფერეთ ნაცისხართ  
და ჩვენც გადავგვარდებით!..  
თქვენ ისეთი კარგი ხართ,  
თქვენ პოეტი ბრძანდებით!  
თქვენ ხართ მოსე! ბოლოსკენ  
გზას დაგვიფენთ ვარდებით.  
ჩვენ — ჯვაცნი, ხოლო თქვენ  
მეცნიერი ბრძანდებით!  
აღთქმულ მიწას გვისახავთ  
კორდილიერ-ანდებით.  
თქვენ ისეთი ისა ხართ...  
თქვენ პოეტი ბრძანდებით!

## ქარი


სასახლის გვერდით აენთო კვარი  
და კარვის კარი სიფრიფანაობს.  
ჭორში ბანაობს პუტჩისტის გვარი:  
ათასი ქალი იცავს ფარაონს.  
თბილისს მოადგა პრეფექტთა ჯარი,  
დასწერა ჯვარი რისხვის მარაოს  
და სიძულვილის ავარდა ქარი,  
ნანაობს ქარი და მანანაობს.

## მახათი

ვიცოდით როგორ იბრძოდა  
ხალხისთვის განდი მაპათმა.  
ჩვენ უადგილო ადგილას  
გაყრილმა მოგვეკლა მახათმა.  
ჭკუა გვასწავლა ბელადმა:  
რა იციანო „მაგათმა“?  
ციყვები ლომად აქცია  
და არწივები აქათმა.  
მერე, შედეგად ამისა,  
რა გაცივდა და რა გათბა?  
სულ სხვებს აგვიღეთ ცოდვები:  
რაღა დირე და რაღა თმა!  
ვინ იცის, რამდენს გაუძლო  
ცილისწამებას ქალაღმა?  
რამდენ უღმერთოს უშველა  
„ჩვენთან არს ღმერთის“ ლაღმა!  
ვისთვისღა იყო ნიმუში  
დე-გოლი, განდი მაპათმა,  
თუ უადგილო ადგილი  
არ შეგვარჩინა მანათმა?

## ბოლოს კალო

ცა ისეა ამღვრეული...  
თუმცა არ ჩანს არვის კვალი,  
კრემლის აგენტს დაინახავს  
მოდარაჯე კარვისქალი,  
პროფესორებს აბრალებენ,  
ვიღაც რომ ხსნის ბორბლის ქანჩებს,  
და მიტინგზე ორატორი  
დასაჭერთა სიებს არჩევს!..  
არსად, არსად არ არსებობს  
მოყვრის ბოღმა, მოყვრის შური,  
როგორც აქ, ამ ქვეყანაში:  
სიძულვილის შარიშური!  
არსად კლავენ ასე ვნებით  
და ასეთი გატაცებით,  
როგორც აქ, ამ ქვეყანაში.



გუშინდელი ძმაკაცები!  
მაშ, გარეკე ბეტვერი,  
სადმე შორს, შორს წამიყვანე,  
გამაქანე!  
გამაქანე!

## ფული

„ფულეებს პირდაპირ ტომრებით  
ითვლიდნენ...“

## გაზეთიებიდან

ეს სადღეგრძელო რთული,  
ძლივს დაიხორტელა სურამ,  
ტომრებით მიაქვთ ფული —  
შენ რაღას იტყვი, გურამ?  
ახლა მე ვფიქრობ, კარგო,  
შერჩა ტარიელს გემო?  
მე ვეკითხები კაკოს,  
თუ რაზე ფიქრობს ნემო!

## ლურჯა ცხენები

თანხმობა რას მიქვია,  
სიძულვილის ციკლია,  
აქ ტყვიების ფიფქია,  
აქ ვის მოეფერები?  
რაღა დროის ფიქრია,  
თემო ნემოს მიჰკვრია  
და გამზირზე მიჰქრიან  
ლურჯა ბეტვერები!..

## მამული

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
არ გავიარე — რაა მამული?!“

## გურამ კატრიაშვილი

ასე თუ იშლიგინე,  
სულ თუ აატალახე,  
არც ქართველი შეგრჩება,  
ალარც ღერი ბალახი!..  
პატარაა მამული:  
თვალის ერთი შევლება!  
შენ ეგება გეშველოს,  
მამულს რა ეშველება?!





რად ვერ ისწავლეს ღივილი  
და თავის თავის დანდობა,

საუთარ ხელით რად მოკლეს  
თავისი ახალგაზრდობა?!



# ვინ თქვას მუთაქმელოდ?

ქართული  
საბჭოთაო

იმნებ ცოტა უცნაური სათა-  
ური დავესვი ამ წერილს, მაგრამ  
ფიქრმა სხვა ვერაფერი მიკარნახა!..  
მართლაც, ვინ თქვას უთქმელი, ვინ  
შეიცნოს ბოლომდე მზის სხივით  
ნაწერი დიდი პოეზია, ვინ ჩასწვდეს  
იღუმალების უსაზღვროებას?!

გალაკტიონი — ეს სახელი  
ღმერთთან ითქმის, ლოცვასავით გა-  
ირბენს ქართველის ბაგეზე! ეს სა-  
ხელი უკვდავების მწვერვალია, ზედ  
რომ მზე დაპხარის და ერის სიყვა-  
რულის გვირგვინი ადგას!..

მაგრამ კმარა პათეტიკა!.. ის ხომ  
აქ, მიწაზე, დადიოდა, მან ხომ კაც-  
თა მოდგმის ყველა ჭრილობა საკუ-  
თარ სხეულზე შემოიხვია, რათა ჩვე-  
ნივე სხეულის მიწურში დაენთო  
პოეზიის წმინდა სანთელი, რათა  
სული არ ჩაგვხმობოდა და არ და-  
გვევიწყებინა, რომ ლამაზი სიცოცხ-  
ლის შემდეგ სიკვდილიც კი „არაა  
არის, ვარდისფერ გზის გარდა“.

და მაინც, მინდა გალაკტიონზე  
ეს მცირე სათქმელი მოგონებით  
დავიწყო. დიახ, რამდენჯერმე ბედმა  
მეც გამომიგორა ნატვრისთვალი და  
დიდ პოეტს შემახვედრა, მისი ხმა  
გამაგონა, მისი პოეზიით ანთებული  
სახე დამანახვა და განა ერთი წუთი-  
სოფელი ეყოფა ამ ბედნიერების  
დახარჯვას?!

... გაზაფხული იდგა, აპრილი, და-  
ბერდნენ კავკასიონის მთებზე ნის-  
ლები, ენა ამოიდგეს წყარობმა,  
უწინ გრძელი ღამე შავი ავაზასავით  
დაპატარავდა და წყნეთის გარშემო  
მოჭარულმა ტყეებმაც იისფერი გა-  
დაიკრეს. მზვარეებში ყვავილები  
ცელქობდნენ, შაშვების გალობით  
იხდიდნენ ქორწილს დუმფარები და  
მალლა ცას უხაროდა, დაბლა —  
მიწას!..

ღმერთმა უშველოს! — ქალბატო-  
ნი ეთერ უშუაწია შემახვედრა წუ-  
თისოფელმა! — ობოლი ვიყავ და  
თავზე ქუდივით მეხურა ხოლმე მისი  
თბილი ხელისგული. შემატყო, რომ  
გალაკტიონის სტრიქონებით ვსუნ-  
თქავდი, თანაც ფილოლოგიურზე  
ვაპირებდი ჩაბარებას, საჩემოდ კა-

ლამსაც ვაცოდვილებდი და კეთილ-  
შობილ სულსაც, აბა, მეტი რა თქმა  
უნდა? ერთ საღამოს შეფიცულივით  
გამანდო ეთერმა — ხვალ გალაკტი-  
ონს უნდა ვეახლო წყნეთში, შენც  
წამოდი, მაგრამ, ფრთხილად იყავ,  
ბიჭო, მზის სიახლოვემ არ დაგწვა-  
სო!.. იმ ღამეს მეძინა-მეთქი, —  
დაიჯერებთ? არა, ბატონო, ყველა  
წამწამით ვფხიზლობდი, გამთე-  
ნისას თხის კუდივით მოკლე ძი-  
ლითლა ჩამთვლიმა და მაშინაც სი-  
ზმრად დიდი პოეტი ვნახე — მზეს  
აეტაცნა მალლა და ციდან ჩამოის-  
მოდა ღვთაებრივი სტრიქონების  
სიმთა ჟღერა!..

ჩვენება თუ იყო უფრო და არა —  
სიზმარი!.. მეორე დღეს, როცა მზე  
ვერძის ზოდიაქოს მიადგა, უკვე  
წყნეთს ვიყავით. გული ისე მიხტო-  
და, ისე გამირბოდა მკერდიდან, თი-  
თქოს ჩემი არ იყო!.. ნუთუ, დიდ  
გალაკტიონს ვნახავ, ვნახავ ცოცხალ  
ორფეოსს, მის ხმას გავიგონებ, თვა-  
ლებში ჩავიხატავ მის სახეს, მის  
ლიმილს? ნუთუ, ჩემი ნატვრისთვა-  
ლი არ ტყუის?

ქალბატონი ეთერი ლოცვასავით  
ჩურჩულებს გალაკტიონის რომელი-  
ღაც ლექსს და ხართუთასავით ად-  
ნება ბაგეებზე ღვთაებრივი სტრი-  
ქონები, მერე ჩუმდება და თვალე-  
ბით მეტყვის: „ღმერთია, ღმერთი!..“  
„ვიცი-მეთქი!“ — მეც თვალებით  
ვუპასუხებ.

ცოტა კიდევ ავიმალღეთ და ხელ-  
მარცხნივ აგურის სახლიც გამოჩნდა.  
სახლის წინ მიწის ფართოდ გაშლილ  
კალთას გაზაფხულის სუნი ასდიოდა.  
ფუტკრების ბზუილით თავბრუდა-  
ხვეული ტყემალი თეთრად ანთია  
და რაღაც სხვანაირად, იმერული  
ზრდილობითა და პეწით დგას ხეთა  
შორის.

თვალი შევასწარი, ზოლებიან პი-  
ჯამაში შემოსილი ღვთაებრივი მო-  
ხუცი თოხნის ჩაფერდებულ მზვარ-  
რეს, ერთ-ორს დაჰკრავს ისე, ანდე-  
ზე. უწადილოდ, მერე შედგება, გა-  
ყუჩდება, თითქოს მიწის გულის  
ძვერას უსმენს, და ცაში აღავლენს

მზერას — გაჰყურებს ლურჯ უსას-  
რულობას, ნიაგი კი, ის ცელქი და  
თამამი ნიაგი, ხან შველივით და-  
ფრთხება და წინ გაურბენს, ხან  
მკერდზე დაფენილ წვერს აუშლის,  
ხან კიდევ ცხელსა და მღვრიე  
შუბლს აულოკავს!..

„ნეტავ, ვინ არის-მეთქი?“ —  
ჩემთვის ვიფიქრე და ქალბატონმა  
ეთერმაც მაშინვე უპასუხა იმ ჩემს  
უხმო ფიქრს:

— გალაკტიონი  
— ?!

უტბად რაღაცა შიშმა კი არა,  
გაუბედაობამ შემკრა, სიხარული  
დამავიწყდა და ეთერის გულიანი  
სიცილის შემდეგლა ავიდგი ხელმე-  
ორედ ფეხი!..

— მაშ, ღმერთის რიღით ტაძარში  
ალარ უნდა შევიდეთ? — ჩუმად მი-  
თხრა, ალერსით გამთხარი ხმით, —  
მაგრამ ჭერ ვაცალოთ, მუზა გაის-  
ტუმროს!..

აგერ, ისევ ამოძრავდა თოხი —  
გალაკტიონი დაბრუნდა ღმერთების  
ნადიმიდან!.. შევაჭრიალეთ ჭიშკარი  
და დიდი პოეტი ხელებგამოწვილი,  
აქარებული ნაბიჯით, წმინდა იმე-  
რული გულლიაობით გამოგვეგება!..

— ააა, მობრძანდით, მობრძანდით,  
ჩემო ეთერქალო! ხედავთ, რა ამბა-  
ვია, — მიტრიალ-მოტრიალდა ეგრე  
ხელგაშლილი გალაკტიონი, — რა  
დღეშია გაზაფხული?! წუხელ კი-  
დევ, წუხელ მთვარემ არ დამაძინა,  
არა და არ მოსცილდა ჩემს სარკ-  
მელს!..

— თქვენმა მთვარემ, ბატონო გა-  
ლაკტიონ! — ღიმილის თაიგულად  
იქცა ეთერი.

— არა, ეთერქალო, ააა! ჩემი  
მთვარე იქ, მთაწმინდას, დაპნათის  
მუდამ! — და მერე საკუთარ თავს  
უჩურჩულა: „იქ მელის მეც, თავის  
გალაკტიონს!“

ერთხანს ისევ მოიტაცა ოცნებამ,  
მაგრამ სწრაფად გამოერკვა და დი-  
დი, მძიმე მკლავი მხრებზე მოიხვია!..

— ვისია ეს ყმაწვილი, თქვენი ნა-  
თესავია?.. ვისი ხარ, ბიძიკო, შენ?..



მოვახსენე. ვინც ვიყავ და რა მუხ-  
რან-ბატონიც.

— წერს, ბატონო გალაკტიონ! —  
განდო ჩემმა მფარველმა.

— რას წერ, ბიძიკო?

— ლექსებს-მეთქი, — ისე ვთქვი,  
თითქოს დანაშაულზე წამასწრეს და  
სირცხვილმა წითლად შემღებია!..

— წერე, ბიძიკო, წერე, ოღონდ  
ზოგაერთივით არ თქვა, „ჩემი სჯობ-  
სო“, თორემ ბიძია გალაკტიონი პა-  
ტივს აღარ გცემს!

საუბრობდნენ პოეზიაზე, პოეტის  
ადგილზე ცაში და მიწაზე, მიუხე-  
დავად საოცარი სისადავისა, მაინც  
არ იყო, არ იყო გალაკტიონი მიწი-  
ერი — საუბარშიც უბრალოდ სი-  
ტყვა, მისი სმენა ახლაც უცთომლად  
იჭერდა სამყაროს უდიდესსავე ბე-  
რებს!..

... მერე ჩავიციე ფლები და, უკვე  
პირველი კურსის სტუდენტი, კიდევ  
ბევრჯერ ვნახავ გალაკტიონს, —  
აღნაგობით უფრო რენესანსის პე-  
რიოდის მოქანდაკეს ჰგავს. — მა-  
ღალი და მასიური შუბლი, ღია სახე,  
ოდნავ მოთენთილი, მაგრამ ძლიერ  
ნაბიჯით მიმავალი ბიბლიური მო-  
ხუცი. მას ყველა სცნობდა, მაგრამ  
მის სიმარტოვეს არსად ჰყავდა მე-  
გობარი!.. მიცურავდა ჰაერში გა-  
ლაკტიონის გვერდით დიდი, გაცრე-  
ცილი პორტფელი, დადიოდა ქალაქ-  
ში პოეზიის მწირი, პოეზიის მეუფე,  
დადიოდა უცნობი, როგორც,  
დალოცოს ღმერთმა, მოსწრებულად  
უწოდა ბატონმა ვახტანგ ჯავახიძემ  
თავის მშვენიერ წიგნში. იქნებ აქვე  
მეთქვა: ეს მხოლოდ წიგნი არ არის,  
ეს ბრალდებაა, ბრალდება თაობათა,  
ეპოქის მიმართ!.. მართლაც, **„ვერ  
მსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებან  
ციურს!“**

ისიც მახსოვს, ის სველი მარტი —  
ყვავილებს აეტაცათ ხელში მარადი-  
ულ იდემალებში წასული გალაკ-  
ტიონი და ანგელოზები ქვითინებ-  
დნენ ცაში!.. მის ნეშტს მეც მივა-  
ცილებდი — ხალხის ზღვის ერთი  
წვეთი — და ყურებში მედგა მშობ-  
ლიური სიტბოთი სავსე ხმა — „წე-  
რე, ბიძიკო, წერე!“ ვიგონებ ახლა  
და თბილად მეღიძვება: „იცელქე,  
პატარავ, იცელქე!“

და მაინც აქ ხარ, მარადისობის  
ბინადარი, აქ ხარ, შენს მშობლიურ

თბილისში, ისევ გიმღერის ნაბიჯი,  
ისევ ეღერს ქართული წერვის სიმი  
და ძაფი!.. მონუსხული შევეყურებ  
დიდი პოეტის დატალღულ მკერდს —  
განცდათა ქარიშხლით აწეწილ გა-  
ლაკტიონს ქარი აცვია ტანთ, ქართ-  
ველ ორფეოსს ბიბლიურ წვერში  
გახლართვია წყნეთის ამალღებიდან  
მოფრენილი ნიაგო!..

„შენ აქ ხარ, აქ ხარ!..“

დაილოცოს მაღლი პოეზიისა! —  
რა უბედურნი ვიქნებოდით ადამია-  
ნები უიმიხოდ!..

„რა ესმოდის მღერა ყმისა, ხმე-  
ნად მხეცნი მოვიდიან“. — რუსთა-  
ველის ამ სიტყვებში პოეზიის არს-  
თა არსი დევს, ამ სათაგიდან მოდის  
გალაკტიონის პოეზიაც — მისი სი-  
ტყვის ხმა სტრადივარიუსის ვიოლი-  
ნოს ეღერას ჰგავს, მისი ლექსის  
ორკესტრი უნარჩენოდ ამოზიდავს  
ქართული ენის მუსიკალურ პოტენ-  
ციალს, სხვანაირად მოითქვამს ხოლ-  
მე სულს „მძიმე“ მის ლექსში, სხვა-  
ნაირად ჩუმდება „წერტილი“.

„რა განძი გვექონია,

რა მხნე, რა მდიდარი,

ელერს ქვის პარმონია —

დარობს რამღი დარი“.

ამ ბოლო სტრიქონს მხოლოდ მუ-  
სიკალური შინაარსი აქვთ, ბგერათა  
სემანტიკას უფრო მაღალ რეგისტრ-  
ში აჰყავს მისი საერთო მუსიკალო-  
ბა!.. ეს მხოლოდ გალაკტიონს შე-  
ეძლო, ამიტომ იყო იგი მთელ  
ქვეყანასავით ერთი.

ითქვა და ვერ დაგვივიწყნია, ითქვა  
თეიმურაზ პირველის მიერ, — ქა-  
რთველთა ენა „მძიმეაო“, ვითარცა  
საპალნე, მოქნეული ხანჯალივით  
ჩამოგთლიან ყურს მისი ხორხიდან  
ამოყრილი ბგერები, იგი სანადიროდ  
გამოსულ ლომს ჰგავსო, სპარსული  
კი ისპაანის სასახლეთა ფრესკებს  
ჰგავს, ჰურთისავით ნაზია და მონა-  
დირისაგან დევნილი კანჯარივით  
მსუბუქიო!

„მძიმეა ენა ქართველთა!..“

და თითქოს ამ ბრალდების ძირ-  
ფესვის ამოსაგლეჯად მოდის გურა-  
მიშვილი, მოდის ბესიკი, მოდის  
აკაკი, ვაჟა და ქართული ენის მო-  
ცარტი — გალაკტიონი!

დავასწრებ ჩემს უჩინარ ოპო-  
ნენტს — რა თქმა უნდა, რა თქმა  
უნდა — სიმბოლიზმიც, რემბოც,

შალარმეც, მაგრამ გალაკტიონის  
ლექსის მუსიკალობას მაინც ეროვ-  
ნული პოეზიის წყალ-ქალის, ტყე-  
მინდვრის, წყარო-ბალახის სუნთქვა  
და ხმები ასაზრდოებს!.. შე ისე  
მწამს — ქართული ლექსის მისტე-  
რიას უნდა ეშობა ის და შობა!..

ქართველი მუსიკათმცოდნე ნი-  
ვალში არიან დიდი პოეტის წინაშე.  
ისიც ბუნებრივია, რომ ბევრი რამ  
საიდუმლო მარად ამოუცნობი და-  
რჩება გალაკტიონის პოეზიიდან —  
იცოდა კი მინდია, გულთმისანმა  
გველისმკამელმა, როგორ იღებება  
ათასფრად ყვავილ-ბალახი, რას ლო-  
ცულობს ბულბული, რა ატირებს  
მთებზე გაბმულ ნისლს? ალბათ, ეს  
ასეც უნდა იყოს — ყველა შემო-  
ქმედს რაღაც თავისი და საკუთარი  
აქვს — მხოლოდ ღმერთისთვის გა-  
საზიარებელი!..

ჰაფეზზე უთქვამთ სპარსელებს —  
ღმერთმა თუ ჩაუდგა ენა ჰაფეზს,  
თორემ მოკვდავი, კაცი მიწისა და  
წუთისოფლისა, როგორ ასწვდებო  
ხელით ცაზე გაშლილ მთიებს, რო-  
გორ შეეძლო ხორციელ მარჯვენას  
ქალაქზე ეწერა ღმერთის ფიქრი,  
სევდა და სიხარული, ხმათა შარბა-  
თით დაეთრო მოკვდავის ყურიო!..  
როგორ შეეძლო!..

პოეზიაც ხომ გაკვირვებია, ალტა-  
ცებია, გაოცებია!..

როგორ შეეძლო მოკვდავს და-  
ეწერა „მთაწმინდის მთვარე“,  
„ლურჯა ცხენები“, „ქებათა ქება  
ნიკორწმინდას“, „ეფემერა“!.. რო-  
გორ შეეძლო!..

წავიდა ხორციელი გალაკტიონი,  
ცას მოწყვეტილი მეტეორივით და-  
ენარცხა ცოდვილ მიწას და, კაცთა  
მოდგმის გაკვირვებისთვის მოსულ-  
მა, სიკვდილიც გააკვირვა მარტის  
იმ ცრემლიან დღეს, მაგრამ რითაც  
ეს გენიალური მოხუცი სუნთქავდა  
და ცოცხლობდა, საქართველოს, კა-  
ცობრიობას დარჩა და მეგანძურად  
ქართველი ერი უდგას!..

„შენ აქ ხარ, აქ ხარ!..“

უკვდავნიც კვდებიან!.. ისინიც  
იხდიან მიწის ვალს, მაგრამ უკვდავ-  
ნი არიან ისევ, ცისა და მიწის გან-  
გებით!..


აჰა, განსრულდა ფიქრთა ეს ეტი-  
უდიც გალაკტიონზე!..

„წერე, ბიძიკო, წერე!“





გამოვიგონა  
ეს გოგა







რიგი დგას, რიგი დგას,  
რიგი დგას,  
ნელ-ნელა მიიწევ რიგდარიგ!..  
შეხედე, სახე რას მიგიგავს,  
გულშემატკივარი ვინ არი?!  
როგორ ჭირს, ცხოვრება  
როგორ ჭირს,  
რასაც არ იკითხავ — ოქრო ღირს!  
სიყალბის აჩრდილი მოგდევს თან  
ყოველ დროს, ყოველთვის,  
ყოველგან!..  
ნათელთან კიბე ვინ მიგიდგას?!  
რიგი დგას, რიგი დგას,  
რიგი დგას!..

\* \* \*

მოვლიოდი ყიჟინ-კენესით  
უხსოვარი უამიდან,  
წინ მხვდებოდა მტრების გესლი  
ნაირ-ნაირ ჯამითა.

...სოფელს ოსი რომ არცხვენდეს,  
ქართველს დაიბარებენ,  
მთასა და ბარს რომ აქცევდეს,  
ქართველს დააბრალებენ!

დასაბრჭყალად შემიმართეს  
კლანჭი კრემლის ძერებმა!..  
ვეძებ, ვეძებ მე სიმართლეს,  
მაგრამ ვერ მეძებნება?!.

\* \* \*

ნუ აყოვნებ, მუშნი,  
მოახსენე გრაფს,  
თუ შენს აბრაგ ძმას  
დაუბირებ რას!  
იმ მზაკვრულ ხაფანგებს  
მოვიგონებ კვლავ:  
სხვისი ფეხით მსდევ,  
შვილის ხელით მკლავ!  
უჩემოდ, ხომ იცი,  
მოწყენილი ხარ,  
რომ გამწირე დღეს,  
რით იცხოვრებ ხვალ?!  
აგი ჭარი დაჭრის,  
იჭუფრება ზღვა,  
შევაბობლდი კლდეს —  
აქ თავდება გზა!..

ვნებები ბრუნავს,  
ვით კამათელი  
და პარტიების  
არის მრავლობა!..  
იქმნა საქმნელი,  
ითქვა სათქმელი —  
გრძელდება შური  
და კინკლაობა!

კმარა ერთუროს  
ლანძღვა და ბილწვა,  
მაჟანთ და მაჟანთ  
ვერშერიგება!..  
როგორც ერთია  
ქართული მიწა,  
ისე ერთია  
ქვეშაბრტება!..

**თაზაზ ეზანოიძე**

**მე და კომერცია**

მაქვს დახვევებული  
ფული, როგორც მინდა,  
ჩემთვის დიდებული  
ხანა გამობრწყინდა,  
სიხარულით ვწვდები  
მეცხრე ზეცის ციალს, —  
კარგად დაამკვიდრა,  
ვინაც დაამკვიდრა  
ჩვენში კომერცია!  
რაც ფული უბეჭდავთ  
და რაც გაუციათ,  
ოჰ, როგორ მინდოდა  
ხელში მომეჭკია!  
მიზნის მიღწევაში  
მარჯვედ გამომადგა,  
კარგად გამომადგა  
უკვე კომერცია!  
იაფად ვყიდულობ,  
ძვირზე ძვირად ვყიდი,  
დიდი მარიფათით  
მოგება მაქვს დიდი.  
ფულის სიყვარული  
სულში ამიცრია;  
კარგად მოიგონა,  
ვინაც მოიგონა  
ჩვენში კომერცია!  
ხელთ ვიგდე რა განძი,  
გაგზდი რა მდიდარი,

ჩემთან ავდარშიაც  
არის დარზე დარი!  
მივბრვივარ, მოვბრვივარ,  
დავალ გაქაფული,  
უხვად მომდის ფული,  
ფული, ფული, ფული!..  
ფულმა გამაფხიზლა,  
ძილი გამიქცია;  
ყველაფერს ვაკეთებთ  
მე და კომერცია!

**ნოდარ შამანაძე**

**თაზაზ და ჩვიბ**

თქვენ კერპებს, მკაცრს და  
სისხლისმღვრელს,  
ეტრფიალეთ და ენაზეთ,  
რადგანაც, შიშით შეპყრობილთ,  
ბოქლომი გედოთ ენაზე!..  
ჩვენ კი რაც გვაწყობს, მას ეუბნობთ,  
ხან კი ხმამაღლა გაყვირით,  
რადგანაც აღარ გვაწუხებს  
ალიკაბი და ალვირი!..  
თითქო ურჩხული დავამხეთ,  
ძველი მიჯნები ავყარეთ,  
გაძვირებაში მგონია,  
გინესის რეკორდს ვამყარებთ!..  
ყველა ერთ საქმეს ასრულებს,  
პროფესორი თუ დოცენტი, —  
ფასები როგორ გაზარდონ  
ასი, ათასი პროცენტით!..  
ყველს ძროხის ფასი დაედო,  
თავზე გვემტვრევა კაკალი  
და სტუმრის გამოჩენაზე  
უცებ გვიტყდება კანკალი!..  
ნუ გვეტყვი, „კუყას უხმეთო!“  
როგორ ვიქნებით კუყაზე,  
როს ანარქიით, ქაოსით  
ქვეყანა დადგა ყუაზე!..  
ამდენმა დაიმედებამც  
ყველა იმედი მომიკლა,  
რადგან ძალიან „გაბაზრდა“  
საბაზრო ეკონომიკა!..  
ვიცით, ეს დროებრთია,  
მიტომ არ ვკარგავთ იმედებს,  
მაგრამ დრო ძლიერ ჯიუტობს  
და ჯერ არაფერს იმეტებს!

**ალეანოზი თაზაძე**



**„მასესა, მომხმარაო!“**

განცხადებას ხშირად წერდა. ასლს, როგორც ვთქვით, ყოველთვის ინახავდა.

ტელეფონის ფული ვერ გადაიხდა და:

— მწერალთა კავშირი გთხოვთ, გალაკტიონ ტაბიძის ტელეფონი აღდგენილ იქნას დროებით, პოეტის იუბილეს გამო, აუცილებლად. ფული გადახდილი იქნება იუბილეს შემდეგ.

ეს განცხადება თავისი ხელით დაუწერია.

ესენიც:

— გთხოვთ, პირადი საჭიროებისათვის, გაცეთ განკარგულება, რათა მომეცეს მატერია საზამთრო პალატოსა და კოსტიუმისათვის.

— გთხოვთ, გამომიყოთ სამოსახლო და დამხმაროთ როგორც ერთ ღარიბ მწერალს — სახლის აგებაში.

— გთხოვთ, პირადი საჭიროებისათვის მომეცეთ რვა კუბმეტრი შეშა.

— ვინაიდან, არა მაქვს საზამთრო პალატო და ფენსაცმელი, გთხოვთ (თუ ეს მოსახერხებელია), მომეცეთ მაწარა და ჩექმები.

— ვინაიდან, მეტად ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ, არა მაქვს ტანისამოსი, ფენსაცმელები, გთხოვთ, გამომიყვანოთ ამ მდგომარეობიდან: მე მაქვს ხუთი თუმნის (50) ობლიგაციები. გთხოვთ, ნება-რთვას მისი გადახურდავებისას.

— ა.წ. 28 ივლისს ტრამვაიში დამეკარგა პურისა და შაქრის ნაწარმის ბარათი. გთხოვთ, მომეცეთ სამაგიერო. ბარათის დაკარგვას მიმოწმებენ შემდეგი პირები...

— პალატო არა მაქვს და სახლიდან ვერ გამოვდივარ. გამომიწერეთ პალატო როგორმე. პალატო არის ჩვენს დახურულ გამანაწილებელში, მაგრამ არ იძლევიან უნებართვოდ. მე კი ასეთ მდგომარეობაში ვარ, ძალიან გთხოვთ.

— ვინაიდან, დედა ძლიერ ავდა მყავს და მატერიალურ გაჭირვებას განვიცდი, გთხოვთ, ნება დამართოთ ავილო ნოემბრის თვის პენსია.

— ვინაიდან, ჩასატარებელი მაქვს ძალიან ბევრი ლიტ. სამუშაოები,

უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენი აკადემიის შენობაში დამეთმოს ერთი რომელიმე კუთხე, რაითაც მეტის მეტად ვიქნები დავალებული.

— გთხოვთ, გამომიწეროთ „მნათობის“ № 7 მასალის მონორარის ანგარიშში 50 მანეთი.

— ვინაიდან, ძალიან მესაჭიროება, უმორჩილესად გთხოვთ, გამომიწეროთ ჩემი წიგნის ანგარიშში 100 მანეთი.

— ვინაიდან, არა მაქვს შესახლებლობა სხვაგან შევიძინო ჩემთვის საჭირო ტანსაცმელი, გთხოვთ, გა-

სცეთ განკარგულება და მომეცეს პალატო, კოსტიუმი და ფენსაცმელები.

— გთხოვთ, პირადი სათვის ნაღდ ანგარიშზე მომეცეთ შეშა.

— ავადმყოფობისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო გთხოვთ, მომეცეთ ა.წ. ივნისის მეორე ნახევრის ხელფასი.

— ვინაიდან ავდა ვარ, გთხოვთ, ნება დამართოთ გავანაღდო თქვენს მიერ მოცემული ას ოცი მანეთის ობლიგაციები...

1929 წ. აგვისტო



ქვეყნისათვის, საქართველოსათვის, ჩვენი მოქალაქეებისათვის, ჩვენი მშენებლისათვის, ჩვენი მშენებლისათვის, ჩვენი მშენებლისათვის...



და ასე გრძელდება: ვინაიდან და ვინაიდან, გთხოვთ და გთხოვთ.

ზოგს დადებითი და სასურველი რეზოლუციაც ერთვის, ზოგსაც — ნეიტრალური და გაურკვეველი.

ზოგჯერ აშკარად გაუწილებიათ და თვითონვე წაუწერია:

— მივიღე უარი.

პოეტური მოღვაწეობის ოცი წლის გამო ვრცელი თხოვნა დაუწერია: ახასიათებს საკუთარ შემოქმედებასა და დამსახურებას. აღწერს განვლილი ცხოვრების მძიმე გზას და:

— გაცნობებთ ყოველივე ამას ხავსებით დარწმუნებული, რომ თქვენი მზრუნველობა ხელოვნების მსახურთაღმის და აგრეთვე: ციფრი XX, საშუალებას მომცემს მე, ამდენი ტანჯვის ამტანს, ცოტათი მაინც ადამიანურად მოვაწყუო. ჩემი ცხოვრება. შესაძლებელია უკანასკნელი დღეები.

რომელიღაც შეკრების რომელიღაც მომხსენებლისათვის, უფრო კი — თავისი თავისათვის, არც

მთლად გულუბრყვილო და უსაფუძვლო შეკითხვა დაუსვამს:

— შეკითხვა მომხსენებელს: რისთვის არის აუტანელ მატერიალურ პირობებში ისეთი დიდი პოეტი, როგორიც გალაკტიონ ტაბიძეა, — ნუთუ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს იგი?

ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, უარესადაც:

— მოვიდა შალვა. მან მასესხა მ თუმანი.

— ტრამვაიზე წინა ბაქნიდან ასვლისას დამაჯარიმეს მ მანეთით.

— არასდროს, გალაკტიონ, არ დავიწყუო მ პაპიროსი, არასდროს, არასდროს, არასდროს.

— ბატონო დიმიტრი! ერთი პაპიროსი გვასესხეთ!

— გავყიდე შარვალიც კი...

— გავრეცხე წინდები...

— დავასუფთავე ბოთლები...

— დავფერთხე ნოხი და საწმენდი ტილოები... ჩამოვაცილე ობობას ქსელი ყველა ოთახებს, მთელ ბი-

ნას... შემდეგ სველი ტილოებით გავწმინდე იატაკები მთელი ბინისა და აივნის...

ეროვნული

— დავკერე წინდებიცველიცველი დასაკერი იყო...

— დავხვეტე კაბინეტი, საწოლი, სასადილო, კორიდორი, წყლით გავრეცხე ვანის იატაკი...

— ჩავკმტე კარები და ვწევარ, მწოლიარე კაცი უკეთესად იტანს შიმშილს.

— უნდა დავუბარო ვინმეს, რომ პატივი სცენ მინა ომიადეს, მშვიერი ვიყავი და ორი სადილი მაჭამა.

ღმერთმა აცხონოს ისევ ჩვენი რაჭველი კაცი, გაჭირვებები ჩემი არაფერია აწი.

აკაკისაც დასესხებია:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,

ჩემო სამშობლო მხარეო,

მასესხე, მომეხმარეო.

ვახტანგ ჯავახიძის  
წიგნიდან „უცნობი“





## „თუ შეიძლება, ცოტა ჩამთვისაც გამოართვი!“

ოგი ახალი დამთავრებული იყო, სა-  
მხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუ-  
დენტი გახლდით, როცა აკადემიის კლუბში  
შეხვედრა მოუწყვეს გალაკტიონს,

როგორც ზოგიერთი ახალგაზრდა, მაშინ  
მეც ვცოდავდი ლექსების წერით.

შეხვედრაზე, სხვებთან ერთად, მეც ვუ-  
ძღვენი ლექსი დიდ პოეტს.

სალამოს დამთავრების შემდეგ გალაკტი-  
ონმა შემაქო და მკითხა, — კიდევ ხომ არ  
გაქვს ლექსებიო? მე, თანხმობის ნიშნად,  
თავი დავუქნიე.

— აბა, ხვალ შინ მომიტანეო! — მითხრა.

მეორე დღეს ჩემი პატარა რვეული ამო-  
ვიღო და გალაკტიონს ვესტუმრე. კარი  
თვითონ გამიღო, კაბინეტში შემიძღვა, სა-  
წერი მაგიდის იქით დაჯდა. მე აქეთ მოვიკა-  
ლათე სკამზე.

— აბა, მომეცი, ძამიკო, რა მომიტანე? —  
მომმართა გალაკტიონმა და ხელი გამომიწო-  
და. მე რვეული გავუწოდე.

გალაკტიონი ჩუმად ფურცლავდა რვეულს.  
მომეჩვენა, რომ გულმოდგინედ კითხულობდა.

— მშვენიერია, ძამიკო! მშვენიერია! —  
თქვა უცებ ღიმილით.

მე სიხარულით ცას ვეწიე.

მან თავი ოდნავ გვერდზე გადახარა, და-  
მაკვირდა და მითხრა:

— კარგი იქნება, თუ ამ ლექსებს წიგნად  
გამოვცემთ!

ყურებს არ ვუჭერებდი..

შემდეგ ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა:

— გამოცემა კია ადვილი, მაგრამ, აი, ქა-  
ლალდის შოვნა არის ძნელი..

— ქალალდს მე ვიშოვი! — წამოვიძახე  
გახარებულმა, — ზუგდიდში მყავს ნათესა-  
ვები, რომლებიც ენგურის ქალალდის კომბი-  
ნატში მუშაობენ!..

— ძალიან კარგი, ძამიკო, ძალიან კარგი!  
ქალალდს თუ იშოვი, გამოცემა ჩემზე  
იყოს! — მითხრა და რაღაც საეჭვოდ გად-  
მომხედა.

მე კი ფრთაშესხმული ზეზე წამოვხტი და  
კარებისაკენ გავეშურე.

გალაკტიონმა კარებამდე მომაცილა. კი-  
ბეზე რომ ჩავდიოდი, მომადანა:

— ძამიკო, შენთვის რომ სთხოვ ქალალდს  
იმ შენს ნათესავებს, თუ შეიძლება, ცოტა  
ჩემთვისაც გამოართვი!

ამის შემდეგ ლექსი აღარ დამიწერია  
იმის შიშით, რომ გალაკტიონის წილი ქა-  
ლალდი არ ვამეფუჭებინა..



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# ქ ე ლ ა კ ტ ე ა თ ნ ი

1.

სხვა კაცი იყო,  
 სხვა ხმა ჰქონდა,  
 სხვა ალტყინება,  
 დილით ბაზრისკენ უხაროდა გასეირნება,  
 სახელდახელოდ ერთი ჭიქა არყის გადაკვრა...  
 ეხლა ამბობენ: „უბედური არაყს გადაჰყვა!“

მისმა ცხოვრებამ  
 არსებობა  
 ბევრს დააყვედრა  
 და, რადგან თავი არა ჰქონდათ გამოსაჩენი,  
 მას მიუსაჯეს  
 დავიწყება  
 როგორც დახვრეტა,  
 და... სისრულეში მოიყვანეს ეს განაჩენი!

ეხლა ამბობენ... ეჰ, კვინ იცის, რას არ ამბობენ!  
 მის ტახტზე სხედან,  
 მის ლაშქარში სპასალარობენ,  
 მთაწმინდის კალთებს მიჰყვებიან მისი ბილიკით  
 (მაინც, ბოლო დროს, მთაზე ასვლა გახდა იოლი!)  
 თავი მოიკლა?! —  
 არა, გვამცნო თავის სიკვდილით:  
 ცოცხალიაო,  
 არ მომკვდარა გალაკტიონი!

2.

არცა დევნიდნენ,  
 არცა მტრობდნენ,  
 არცა ძრახავდნენ

მის აყვიობას,  
 მის სიმთვრალეს  
 და მის სიფიცხეს...  
 ჯერ პოეზიის სათაყვანო კერბად გახადეს,  
 მერე ჯართივით ჩამოწერეს და დაივიწყეს!...

და გაქრა კაცი უსაფლავოდ და უთარილოდ,  
 ცოცხლობდა, მაგრამ სათუალავში უკვე არ იყო!..

ეხლა ამბობენ: „მახლობელი, ნუთუ, არ ჰყავდა?!  
 ვინ პატრონობდა იმ უბედურს, ვინ ინახავდა?!  
 სად იყვნენ მისი მეგობრები, და-ძმა, ცოლი ან...“  
 გამოდის, მართლა, შოამაგე ბევრი ჰყოლია, —  
 მაგრამ არავინ,  
 ო, არავინ თან არ გადაჰყვა,

ვერ შეამჩნიეს რადგან მისი  
 ცოცხლად დამარბვა!  
 ის კი ცოცხლობდა, პოეზ-ის დიდი მოძღვარი,  
 ცოცხლობდა თავის მწუხარებით,  
 ხალისით,  
 რისხვით.

ცოცხლობდა!  
 და რომ მართლა იყო კიდევ ცოცხალი,  
 დაგვიდასტურა  
 ქვაფენილზე  
 დაღვრილი  
 სისხლით!..

3.

როცა გვიწყებებს ყველა, —  
 დასამარებულს ცოცხლად,  
 როცა არც ხსნა, არც შევლა  
 არ ჩანს არსაით როცა,  
 თეთრად ცხადდება შავი  
 და არ თავდება ჯვარცმა,  
 რომ გაგიხსენონ, თავი  
 უნდა მოიკლა კაცმა!  
 უნდა მოიკლა თავი  
 და ჩამოამხო ზეცა,  
 რომ ერთი წამით მაინც  
 მათი გულუბი შესძრა,  
 ვინც არაფერზე წუხდა  
 და მღუმარებდა, როცა  
 მედროვეები — უკვდავს  
 გასამარებდნენ ცოცხლად!

4.

„და სისხლი იგი, რომელი მაშინ დაითხია, აწცა  
 იხილვების, ვითარცა ახალი...“  
 მ ე ჟ ა ტ ი ა ნ ე

გარდაიცვალა!.. ხელს არ გვიშლის არავის ეხლა!  
 და ამიტომაც გულმოდგინედ ვადიდებთ ერთხმად!

იქ კი, ქალაქში, სადაც შუქი აღმოხდა მისი,  
 საავადმყოფოს შესასვლელთან გუბეა სისხლის!..

ქუჩაში ხალხი ძველებურად მიდის და მოდის!..  
 გუბე არ შრება...  
 და დაშრება. ვინ იცის — როდის?!





# სამასი შედევი

## ნაწყვეტი

1977 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა „რჩეული“, ჩემს მიერ შედგენილი. ამ წიგნს სანიშნო კრებანა ჰქონდა, რომ თავი მოეპარა ურველივესთვის, რასაც ჰეზბა-რიტი კოეზი შეიძლება ეწოდოს, რაც თვალნათლივ გამოიჩინება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში საგანო რაოდენობით არსებული არა-კოეზისგან. და ამგვარი ულმოგალი კრიტიკის მომარჯვების შემდეგაც წიგნი წარმოდგენილია ათას ორმოცდაათამდე ლექსი (კომენტარის ნაწყვეტებს აქ არ მივამოვლი), ისიც გავითვალისწინოთ, რომ ათიოდე თუ ოცოდე ლექსი კონიუნქტურული მოსაზრებებით იყო შეტანილი — სხვაგვარად სანიშნოდ კოეზური კრებული საერთოდ ვერ დაიგეგმებოდა. გამომავალთ ის ათიოდე თუ ოცოდე ლექსი, გამომავალთ კიდევ ზოგიერთი სხვა ნაწარმოები (ვთქვათ, კოეზური შეხილვისდროინდელი ქვენილები). საბოლოოდ ჩვენს წინაშე არანაკლებ ათასი ლექსი, რომლებიც ნებისმიერი კოეზის შემოქმედებას დაამზადებდა. დიან, ათასი საუცხოო ლექსი!

გაბრან შედევიანი?  
ცალკე შედევიანი იხანად არ მივიჩნია. ის იყო, რომ იმ დიდი „რჩეულიდან“ ჩემ-

# გალაკტიონ ტაბიძე რჩეული

შეადგინა და რედაქცია გაუკეთა  
რევაზ თვარაძე

ფოტო: დ. მხეიძის და ო. ცქვიტინიძისა.  
მხატვრები: თ. მირზაშვილი, ო. ჯიშკარიანი

გამომცემლობა „საბოთა საქართველო“  
თბილისი — 1977

სხვა კოეზისთვის ვერ  
მივიგნია,  
ეს ნიგნი ერთადერთი  
ნიგნია!..


თვის ვადგენდი ნაირ-ნაირ მომცრო რჩეულებს (სათაურებს ვიწმარდი).  
ვიდრე ის აღმოჩენა არ გავეთქმა, რომ ალექსანდრ ბლოკს, დიდ ალექსანდრ ბლოკს, მეფე-კოეზს, ოცამდე შედევიანი შე-

დევიანი სულ.  
გაზინ იყო, გალაკტიონის შედევიანთა გამოცალკევება რომ გადაგვწყვიტო და შედევიან ურველგარ მოლოდინს გადატარება — სამასამდე შედევიანი!

რევაზ თვარაძე

სიტყვა ნაწყვეტი გამოვიცხადებ  
უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა!





# დაკუნდა

თქვენ ერთნაღ სამთა აწმელთსთა: კოპტო მავაადთ  
კაცი უმალაჲ ბადნიერი და უბადუბით,  
კა მავაწმელთ, ან იხეთი კა მავანათლთ,  
ათბაჲარ ბადის თქვენ მადლთაბი და ხაზვიდუბით?

პირველად თათკა აწმელთსთა წაკდგა წაბიჲი:  
მავაადთ კაცი მდინარი, მავკამ მახინჯი.

წითელმა: ის სჯობს, უკმა მცხენებს ნულარ მიცხს,  
ულამაჲსი იუს, მავკამ უღარიბები.

ბოლოს კი შავი აწმელთსი წამოიშატა  
და შავი სიტყვა მანუცხადან ცათა სინადათ:  
სასჯალი ბინდათ? მავინ დიდი კაცი მავაადთ,  
სახელ-დიდებით შესწვდებოდან ცათა კახადონს,  
ოდონდ მავაადთ სულთა მადროშა,  
უთუოდ მავსნად  
და უთუოდ  
საპართველოში.

ის ლამს ხუვიშთან ვარ დიოდა წმნარად კიონი.  
თურჲე ის ლამით მავიზადა ვალაჲკტიონი.



— გურიაში რატომ უნდა იბო-  
გაუროს?  
— გაქართველების მიზნით, აქ  
ზვერს ციხეში, ენამსწერებელი  
ხალხია.

\*\*\*  
იმყო ერთი ასოთაწყობი,  
საბუღედი ვლახი, გვარად გველიძე,  
გურული კაცია. ვარჯიშობა მჭირ-  
და დღეს. ამ კარგობა ვერ შემო-  
ცნებოა, ისეთი ვაგინერი მზრები  
მჭროდა და ისეთი ენამაგებელი  
იყო, რომ სულ სიამოლით მხო-  
ცავდა ასოთაწყობებს, სტამბოლა,  
გურულენი ხომ ენამაგებელი ხალ-  
ხია. გურული სტროფულად რომ  
ლაპარაკობდეს, მაინც ვაგინენ-  
და, ისეთ რაშებს ვაგინებს, ახი  
ვაგინობს, ახი შეიადგება. ასოთ-  
აწყობები, მასობის, თან ჩემი  
ენარწობის მეორედი აწყობდეს,  
თან მხიარული სახეებით უხმენ-  
დენ ვლახს.

\*\*\*  
ბურღულმა ღღავი დაიჭირა  
და უანა-უანა სახლობიდან გაქპინა,  
დაუღდევენ ზაზე — მოვაგინერი  
პაქია მია ღღავი.

გურულმა დაიწყო კრა უუა,  
ბოლოდა... ცოცა ეს, ცოცა ეს,  
და სახლში მარტო თუვის თავი  
მიიგანა.

— უსოლორო, უსახისი — უთხ-  
რა ცოცმა. — მაგ როგორ არ  
იცილო, რომ თუკი ეთი ვეფრო  
ვეფროდა და თავის მავიერ ხო-  
ლოდ რომ მოგებთან, უყოფთი იქ-  
ნებოდაო.

მეორეგერ რომ ვერაულობა კობ-  
რი დაიჭირა და უანა-უანა სახლობ-  
სიდან წაიღო, გზაში რომ შეხვდნენ,  
ენლა პირველ მიზიდნენ თავი  
მოუკრა და სხვას კიდევ შეხვდნენ  
და სახლში თუვის ბოლო მი-  
იტანა.

— უსახივო, — ვაგულისიდა  
ცოცლი. — როგორ არ იცილო,  
რომ კობრის თავია, რაც აღი და  
ბოლო კი არაო.

— სწორად არ შეხმის, — ვა-  
ცხარად ვუტყლიო — როგორც  
ვეფრო ქაღახის თავი და ბოლო  
ვეფრო ვაგინე, იხე ვეფრესხია.

მოვიძი ბანაძე  
ამ კითხვით სწორად მი-  
მართავდა ხოლმე კრების პალო  
ახლად ვაცნობილებს.  
ერთმა ახალგაზრდა ქალმა მხი-  
არულად უთხრა:  
— უნდა ვაგუთავო ამ რთ თვეში,  
კრების პალოს მერსტლებივენი  
შეიშობენ ახალგაზრდა ქალები.  
— ბოვში ვაგუთ? — მიმართა  
კრების პალომ.

— ხარე თორმეტო.  
— თორმეტო თუკეთონა არაიან?  
— აააა! ექვსი პაპირისებს და  
კარგაბიანებს ვიდის მისკინებს ქუ-  
ჩაზე, ექვსი პაპირებს რაგინებს  
ხალგაზრდებზე, მატარებლებზე.

\*\*\*  
— აა, ბატიონი გოქაძისი, მო-  
ბრძანდით, მობრძანდით! — მი-  
ვება მიხეივში ჩაშობსულ გოქაძის-  
სი პაპირსებო.

გოქაძისიმა, ზერედიდ მოვლ-  
ენი იმგურად ზრდილობისა და  
სიხვედრა-მასობისა, ვაგინებდა აქ სი-  
ფრთხილად საბირო, აქ თავდაგებ-  
ო უნდა, რომ რაიმე ზედმეტი  
სიხვედა არ წაშობდეს და, მას-  
პირებს კიდევ ვაგინებულ მო-



პატივებზე „მობრძანდით!“ —  
ზრდილობიანად უთხარს.  
— დაა, ბატიონი ივლიანე...  
ჩვენ მებრძანდებით... რა თქმა  
უნდა, მებრძანდებით...  
გოქაძისი თავიდანვე უხერხე-  
ლობას გრძობდა და თავისთვის  
ყვერდიდა: რაგინა ვერაუბო, რა  
მივედ-მოვედები, ხად მე და ხად  
ივთო იმტოვებდებოდა სიტყვებ-  
ბო.

მასპინძელი კი თავს ისე გრძო-  
ბდა, როგორც თვენი წყალობი:  
— დედი ხანია, თვენი ხანის არ  
შეგვედარებოვო, ხხეა, როგორა  
შეგებარე, როგორა მბრძანდებით,  
გოქაძისი?

გოქაძისიმა დღეიდან და დარბა-  
ისლურად უთხარს:  
— ჩვენ ახა ვეშვას რა, ჩვენ  
ძალიან კარგად ვებრძანდებით!

ჩაუხმარდებამი კოვჩი  
ნანატრო  
ნანატრო კიდევ უყოველითის  
ქობიანანა.  
რა არის კიდევ ქობიანანა? —  
უყოველივე, ჩავი ვებრძობა, იქნის,  
ცხვება.

ვენ უხის ვერა? — ვინც ხარ-  
შავს, სწავს, აცხობს.  
კიდევ  
ვისაც უნდა, იხაუჭოზის, ისაი-  
ლოს, ივასოზის

ოი, ხს ქობიანანა მდგარ ქობი-  
ნიდან სურს კოვჩით ამიოლის  
ლობო.

მაგრამ ქობიანაში არა დარჩენი-  
ლა არა, სულ შეუქაშიათა.  
მშობლივ ძირში დარჩენილა  
ცოცა ლობოთ, ერთი კოვჩი თუ  
ვაშობა.

მაგრამ, რომ იციოდით, რა ვენ-  
რილდა ფსკერზე დარჩენილა  
ლობოთ? იგი რადანე მოხარაუ-  
ლოდ იქნება.

ამ, ამიოლი ვებრძობა კოვჩით ის  
ლობოთ, უდარდა კი ცოცა ნა.

თუ სიტყვა  
— როდეს თქვენი ხადამო?  
— 17 ნოემბერს.  
— იქტომბერს.  
— ნოემბერს.  
— ოო, სიტყვა, ხანამ ავივდე-  
ბოვდეს, მეორე თუ ავივდა, ადარ  
ივარებებს.

— რა თქმ უნდა, თუ ავივდა,  
— დიდა, დიდა, თუ ავივდა, არ  
ივარებებს, არ თქმა უნდა, არ ივ-  
არებებს, თუ ავივდა.  
ახეთი სუბარია ვეკონდა მწე-  
რალთა კავშირში... ახეთი სუბარია  
მწეარასი ამ სიტყვებში არაა.

მაგრამ ვინა მართლად ასე არ  
არის? რა მისწერელთა იქნებო  
ხადამო... თუ ავივდა.

\*\*\*  
მწერთა კავშირის ჩოქმა  
სხვ დაიწყო მოთქმა:  
შენ ვაწვევითო, ღმერთო,  
პროზაიკოსთა მოვება.  
თანამხარევე პროზას  
ვუ ვამოვალეთო „ოუხას“  
დარბაზი მხოლოდ „პა“ და  
უწუნად მწერებს უნდა:  
შე შეიშაბებთ „პა“ს წუნს,  
მივიღებთ პირველ-პირველს.  
ახე შეამგო ჩოქმა  
პროზაიკოსთა მოვება.

\*\*\*  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ არა მწერთა ღმერთს  
მწერთა კავშირი.

\*\*\*  
გადაწერელთა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების სიტყვის ვახავიბა, რატომ.  
სიტყვის ვახავიბა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების მუშებში — მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მგონობარ-  
რებებს.

\*\*\*  
მწერთა კავშირი — გუ-  
ლისხმისმ მწერებს და სხვა



დასხვა პარაზიტებს — ვახავიბი,  
ცოცლი.  
ახეთი საქართველოს მწერალ-  
თა კავშირში საქმეთა ვითარება.

\*\*\*  
მწერთა კავშირის ჩოქმა  
სხვ დაიწყო მოთქმა:  
შენ ვაწვევითო, ღმერთო,  
პროზაიკოსთა მოვება.  
თანამხარევე პროზას  
ვუ ვამოვალეთო „ოუხას“  
დარბაზი მხოლოდ „პა“ და  
უწუნად მწერებს უნდა:  
შე შეიშაბებთ „პა“ს წუნს,  
მივიღებთ პირველ-პირველს.  
ახე შეამგო ჩოქმა  
პროზაიკოსთა მოვება.

\*\*\*  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ არა მწერთა ღმერთს  
მწერთა კავშირი.

\*\*\*  
გადაწერელთა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების სიტყვის ვახავიბა, რატომ.  
სიტყვის ვახავიბა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების მუშებში — მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მგონობარ-  
რებებს.

\*\*\*  
მწერთა კავშირი — გუ-  
ლისხმისმ მწერებს და სხვა

პალო და ტიციონი,  
ცოცა ღდავს დამორჩილდით,  
მშობილი და ბიძიანი,  
თორემ მართლად ვენარტებათ  
საქმე თათქობიანო.  
ქმენობის გაუთხარეთ  
ძირი ფუფუნდობი,  
ქმენობის ვიდა ჩივის,  
გონისზავბო ვეგლიდათ,  
ნელა-ნელა ვაგინე,  
პორთავლი არ იზინი

\*\*\*  
— თავი მტკიცია.  
— მეც თავი მტკიცია.  
— ო, აიღო და ვაგვალეთ თა-  
ცივბი!

— ვეთაყვა, მე კიბვა არ ვიცი.  
— რად დაქწერე „ღმერთა  
ცხენების“  
— მარალის მიქმელს ცხენი  
უტყვი დიდა.  
— ვეთაყვა, მე წერა არ ვიცი.

\*\*\*  
მწერთა კავშირის ჩოქმა  
სხვ დაიწყო მოთქმა:  
შენ ვაწვევითო, ღმერთო,  
პროზაიკოსთა მოვება.  
თანამხარევე პროზას  
ვუ ვამოვალეთო „ოუხას“  
დარბაზი მხოლოდ „პა“ და  
უწუნად მწერებს უნდა:  
შე შეიშაბებთ „პა“ს წუნს,  
მივიღებთ პირველ-პირველს.  
ახე შეამგო ჩოქმა  
პროზაიკოსთა მოვება.

\*\*\*  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ არა მწერთა ღმერთს  
მწერთა კავშირი.

\*\*\*  
გადაწერელთა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების სიტყვის ვახავიბა, რატომ.  
სიტყვის ვახავიბა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების მუშებში — მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მგონობარ-  
რებებს.

\*\*\*  
მწერთა კავშირი — გუ-  
ლისხმისმ მწერებს და სხვა

\*\*\*  
მწერთა კავშირი — გუ-  
ლისხმისმ მწერებს და სხვა

მართალია ქართველ ტყვე  
მისწერო ციხის ცილა არ და-  
ინა და გმირულად უარყოფდა —  
არავინაა ქველცხე უსიხლო,  
ვიევა, ვინაა ვინაა ვინაა ვინაა  
სიტყვებით. ქმენი ვაგინე ცი-  
ლის ამ უყოველ უსიხლოს მტკი-  
ლებდა. მაინც მოთმინებთან გა-  
სუბელი ცოლი ატარებს: ენლა აქ  
დავარჯიშდენ, მიშელ, რომ აღარ  
ვევარჯიშდენ, დღემდე მე ვცნო-  
ფერს მივტყობდი, დღეს კი საკუ-  
თარ თავლები უდრო უტყობს,  
ვიდრე უნარგულესი ცილის სი-  
ტყვებსო.

\*\*\*  
— რად დაქწერე „ღმერთა  
ცხენების“  
— მარალის მიქმელს ცხენი  
უტყვი მუხა მუხადენს.

\*\*\*  
პაპირისის სახედილად  
ვაგინებენ ოლი,  
ორ ნახევარ კრიტიკოსს  
მისხლა ხომ ოლი.  
რომ წავიდა, წავიდა,  
ცხც ჩემი ხანია,  
იყუ ექვსი სიბოთი,  
ცხცა აღა წაივრებიდა.  
სხვა ვახავიბა თუკი,  
ხად ქვესტრეშო წავიდა,  
ვივარე უპაპიროსოდ  
დავარეულსავითო,  
მოხსენების დერბა  
სხვ ძლიერ მწეობა,  
ვივარე უპაპიროსოდ,  
ჩოქმა ვეშეშეშეშა.

\*\*\*  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ არა მწერთა ღმერთს  
მწერთა კავშირი.

\*\*\*  
გადაწერელთა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების სიტყვის ვახავიბა, რატომ.  
სიტყვის ვახავიბა კავ-  
შირი — გულსხმისმ კრიტიკოს-  
ების მუშებში — მწერთა ღმერთს.  
მწერთა კავშირი —  
გულსხმისმ მგონობარ-  
რებებს.

\*\*\*  
მწერთა კავშირი — გუ-  
ლისხმისმ მწერებს და სხვა

\*\*\*  
მწერთა კავშირი — გუ-  
ლისხმისმ მწერებს და სხვა

პაპირისის სახედილად  
ვაგინებენ ოლი,  
ორ ნახევარ კრიტიკოსს  
მისხლა ხომ ოლი.



# დუქნად

# ქაჩიქს!




გალაკტიონი  
ტიციანთან უფილა უბრად,  
ტიციანს  
თავის პოეტებში ჰქონია სუფრა,  
და იქდა თურმე  
ჩვენი დენდი საერთო ჯამთან —  
უბორცო იყო.  
ცოტას სვამდა და ცოტას ჰამდა,  
გალაკტიონი  
შემოსულა დუქანში ამ დროს,  
მარტო დამჯდარა,  
მარტოსული, და უსვამს მარტოს:



არ მიუხშია  
ის ტიციანს, არა და არა,  
და ასე უბრად,  
უხერხულად კარგა ხანს მხხდარან.  
უცებ... (მახლობლად  
პურს ნაჭამა რეგვენების ჯგუფი)  
გალაკტიონთან  
ერთ-ერთ რეგვენს მოხვლია ჩხუბი;  
პოეტი მეფე  
ვერც მიმხვდარა რატომ და რისთვის, —  
უკადრებია  
რეგვენს სიტუვა რეგვენული მისთვის...  
აჭუეთებია

აქ ტიციანს უეცრად დენთი,  
წამოვარდნილა  
ჩვენი ლორდი და ჩვენი დენდი,  
დაუდგამს კიქა,  
შეუხსნია კისერზე ბანტი  
და უხეთქია  
რეგვენულ შუბლში რეგვენისთვის კვარტი.  
და დარვიან  
პოეტები ერთპირად რეგვენებს  
და ჰაბაჟუბი  
შესდგომიათ ბოთლებს და ნეკნებს  
და როცა ჩვენი  
ლომკაცები ბრძოლით დამძღარან,  
დაუფრენიათ  
თბებივით და ომი დამცხრალა,  
„ტიტე, ძამიკო!“  
შეშლილივით აყვირებულა  
გალაკტიონი  
და ორთავე ატირებულა...  
ორპირის ფშანზე  
გაზრდილ ბიჭებს უეცრად გული  
ამოსჯდომიათ,  
ხვევნა-კოცნა შექმნილა ძმური;  
გადმოსცვენია  
შვების ცრემლი ტიციანს მისით,  
რაც ექნებოდათ  
სამღურავეი, იციან, ვიცით!  
დიდი ხავშვების  
ამდგარან და დამხხდარან ერთად  
და პოეზია  
უთქვამთ პირველ საერთო ღმერთად.  
პაოლოს გარდა  
ამ საქმეში უფილა ვოგლა,  
უფილა სმა და  
გადარევა უფილა ოხრად.  
ეს ყველაფერი,  
შე შიამბო „არაგვი“ გალამ  
და, თუ ვუმატებ,  
ანუ ვაკლებ, ან რამეს ვმაღავ,  
არამი იყოს  
ის წარწერა: „სულით და გულით!“  
იქ, იმ სარდაფში  
მიღებული დენო და პური  
გული გულს იცნობს  
ღონე — ღონეს, მარჯვენა — მარჯვენს...  
ღეგენდად დარჩეს,  
შეგობრებო, ღეგენდად დარჩეს!





შეგთქვამდა  
ბეგბეგს





# „თქმა ზღვა უნდა შექმნეს!“

ასეთი იყო მასთან ჩემი პირველი შეხვედრა.

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ძალიან დავმეგობრდით.

უჩემოდ ჩემი გალაკტიონი ვერ ძლებდა. დილით ყოველთვის ხაშზე მიეყავდი. აბა, მე შენ გეტყვი და, ფულს გადამანდევინებდა!

გალაკტიონი მეტად თავმდაბალი პიროვნება იყო. მაგალითად, ვერ იტანდა, როცა ერთად ვსეირნობდით და მას ამჩნევდნენ, ესალმებოდნენ, მე კი — ვერა.

— ხომ იცი, ეს რატომ ზღება, ძამიკო? — დამამშვიდა ერთ დღეს, — მე წვერი რომ მაქვს და შენ უწვერო ხარ, ალბათ ამიტომ!.. და მერე დაამატა, — ახლა შენ წვერი არ მოუშვა, ეს ჩემი წვერი ორივეს გვეყოფა!

სულმანათი მეტად გულწრფელი და გულახდილი კაცი იყო.

მახსოვს, ერთხელ რამდენი ბოღიში მიხადა ერთი მისი აღრინდელი ლექსისათვის, სადაც შემდეგი სტრიქონებია:

**როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი!**

— მაპატიე, ძამიკო, რომ ეს ლექსი შენს დაბადებამდე მაქვს დაწერილი, თორემ მერე რა ღმერთი გამიწყებოდა, ასე გავკადნიერებულყავი?! შენს დაბადებამდე ძალიან მიჭირდა, მარტობას ვგრძნობდი ამ ქვეყანაზე!..

— არა უშავს, ჩემო გალაკტიონ! — დავამშვიდე მე, — მაგრამ თუ ძალიან უხერხულობას გრძნობთ, შეგიძლიათ ლექსი გადააკეთოთ, მაგალითად, ასე:

**როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ორი ვართ ჩვენ!**

— სტილისტურად არ ივარგებს, ძამიკო, — თქვა გალაკტიონმა, — ისეთი კაცი მასწავლიდა ქართულს, მის აჩრდილს შეუტაცებოფას ვერ მივაყენებ.

უკვდავი გალაკტიონის საიუბილეო დღეებში ათასზე მეტი დღეშა და მოსალოცი წერილი მივიღე.

მკითხველები გალაკტიონსა და ჩემს შორის პარალელს რომ ავლებდნენ, ეს სულაც არ გამკვირვებია და ამის გამო, რა თქმა უნდა, ამ ამბავს არც დავწერდი. ისინი დაბეჯითებით მთხოვენ, ვთქვა ორიოდ სიტყვა ჩემი და ჩემი გალაკტიონის ახლო მეგობრული ურთიერთობის თაობაზე.

მკითხველებისადმი გულისხმიერების ნიშნად, ამ თხოვნას დიდი სიამოვნებით ვასრულებთ.

ომი ახალდამთავრებული იყო, თბილისში რომ ჩამოვედი.

ელბაქიდის აღმართზე (თუ დაღმართზე) მივდიოდი, უცებ ჩემი სახელი გავიგონე. მოვიხედე, მაგრამ რომ ვერაფერს შევნიშნე, ისევ გზა განვაგრძე.

— ყრმავ, მეოცნებევ და გენიოსო! — ახლა ოდნავ პათეტიკური ხმა მომესმა.

„ნამდვილად მიცნო ვიდაცამ!“ — გავიფიქრე და ნაბიჯს მოვუჩქარე.

— კოლეგავ ჩემო და თანასწორო! ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი! — ახლა გარკვევით გავიგონე. აჰა!.. ახლა კი მივხვდი, ვინც მეძახდა!

აბა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?! მართალია, ომი ახალდამთავრებული იყო, მაგრამ მტრის ჭინაზე უკვე რამდენიმე ლექსი გამოქვეყნებული მქონდა.

ჰოდა, გალაკტიონს რას გამოაპაზრებდი?!

„კოლეგავ ჩემო და თანასწორო!“ — დიახ, მას; მხოლოდ მას ჰქონდა უფლება ასე მოემართა ჩემთვის.

ეს მე ვიცოდე. ამაში ღრმად ვიყავი დარწმუნებული.

კოლეგა და თანასწორი ხეს გამო-



## ერთი თავი ვეფხაკავიდან

### ი რ მ რ ა ხ ს ა

სცილდა და პირდაპირ ჩემსკენ გამოექანა.

— ხომ გიცანი, ძამიკო? არ გრცხვენია, გვერდის ავლას რომ მიპირებდი?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო გალაკტიონ! — მოკრძალებით დავიწყე მე, — თქვენ ხომ...

სიტყვა იქვე გამაწყვეტინა. — „ბატონოს“ რატომ მეძახი, ამ საუბურში ხომ მარტო მე და შენა ვართ! დღეიდან „შენობით“ ველაპარაკოთ ერთმანეთს, ძამიკო!

— კი, მაგრამ, მე ხომ ჭერ მხოლოდ რამდენიმე ლექსი მაქვს გამოქვეყნებული?! — თავმდაბლად ვთქვი მე.

გალაკტიონმა გადაიხარხარა! იხარხარა და იხარხარა!..

— რას ამბობ, ძამიკო?! — თქვა მერე. — ყველა პოეტი თითო-ორი-ლა ლექსით რჩება ისტორიაში, შენ კი... უკვე ოთხი გაქვს!

მხარზე ხელი დამკრა და მხიარული სიცილით გზა განვაგრძეთ მთაწმინდისაკენ.



მაგრამ შევატყვე: საკონებელში  
კი ჩავარდა:

— იცი, რა მოვიფიქრე? — თქვა  
მერე და ეშმაკურად გაიღიმა. —  
ჩემს წიგნს გაჩუქებ ავტოგრაფით  
და — იმ ძველ შეცდომასაც ავტო-  
გრაფში გამოვასწორებ.

იმ წიგნს დღესაც სათუთად ვინა-  
ხავ.

ჩემი გალაკტიონი ყოველთვის  
დიდ ყურადღებას უთმობდა ჩემი  
ლექსების სხვა ენაზე თარგმნის სა-  
კითხს.

ერთხელ მოსკოვში — მომწერა:  
„რას შვრები, ძამიკო, სულ დამი-  
ვიწყე, წერილსაც აღარ მიგზავნი?!  
მე, კარგი, დაგავიწყდი, მაგრამ შე-  
ხედე, შენს ლექსებს როგორ თარგმ-  
ნიან! რატომ აძლევ მთარგმნელებს  
ამის უფლებას?! სასტიკად გამახინ-  
ჯებენ, ძამიკო! შე პროტესტს ვა-  
ცხადებ!“

მგონი, ეს წერილიც — სათუთად  
მაქვს შენახული.

აბა, მოსკოვში, დეკადის დღეებში,  
ხომ უჩემოდ ფეხს არ გადაადგამდა.  
ტვერის ბულვარში, ოსტანკინოში,  
კრასნაია პრესნიაზე, ხამოვნიკებში  
სულ ერთად ვსეირნობდით, იმ დღე-  
ებში თორმეტი სურათი გვაქვს გა-  
დაღებული პუშკინის ძეგლთან.

(შესაძლებელია, ეს მისი უკანა-  
სკნელი სურათებიც კი იყო!).

ძალიან უყვარდა გალაკტიონს გუ-  
რია (რა თქმა უნდა, ჩემს გამო!)  
„ძამიკოსაც“ ამიტომ ხმარობდა  
ხშირად. „ძამა“ — ეს სიტყვა ხომ  
გურული წარმოშობისაა!

გაიხსენეთ ადგილები ლექსიდან  
„გურიის მთებს“:

ვხედავ სურებს, ვხედავ მამათს,  
ნაგომარს და ნასაკირალს.

— ეს ლექსი ჯერ კიდევ ჩემი შე-  
მოკმედების პირველ პერიოდში და-  
ვწერე. 1912 წელს. — მითხრა ერთ-

ხელ სულგანათლებულმა, ნასაკი-  
რალზე რომ ჩამოვუგდე ლაპარაკი.

მერე მთლად გახალისდევ, წვერს უკლი  
თითები შეაცოცა და განუგებლად იროთეკა

— უფრო მეტიც, ძამიკო, ეს ლექ-  
სი პირველად სწორედ თქვენსას წა-  
ვიკითხე. ბაბუაშენი კინალამ გაგიუ-  
და სიხარულისაგან. მაშინ ნასაკირა-  
ლი არ მქონდა ნახსენები, ნასაკირა-  
ლი და მამათი ლექსში ბაბუაშენის  
ხათრით შევიტანე.



კიდევ რამდენი მაგალითის, რამ-  
დენი ეპიზოდის გახსენება შეიძლება  
ჩემი და ჩემი გალაკტიონის ახლო  
მეგობრული ურთიერთობიდან, მაგ-  
რამ თავმდაბლობა საშუალებას არ  
მაძლევს სიტყვა გავაგრძელო.

სიტყვის გაგრძელება ჩვენი კე-  
თილშობილი და მადლიერებით აღ-  
საფხე ისტორიისათვის მიმინდვია!

ისტორიამ კი, როგორც მოგეხსე-  
ნებათ, მშვენივრად იცის თავისი  
საქმე!







ცოლთან გაყრის, დაუბოღებს  
 ბავშვებს.. ბედს უწყვეტად  
 გინდობოთქა

წააჩხუბებს ხელმძღვანელებს,  
 ვინ დაუწყებს ჯანჯალს?!  
 ჯამაგირსაც საჩივარში  
 გზაში დაუხარჯავს!  
 ჯილდოს ნაცვლად პანდური აქვს  
 და ტალახში დგომა,  
 ის ასწავლის, ის შეაჩვენებს  
 ჯვარცმას, აღდგომასაც!..  
 თლონდ ფრთხილად, თქმას და  
 ქმნასაც  
 უნდა ახდეს იჭვი:  
 სიმართლიდან სიმტყუენემდე  
 არის ერთი ბიჯი!  
 რწმენით იყავ, რწმენით იარ,  
 მტკიცე გქონდეს ბიჯი! —  
 ყველა ნიჭზე ძვირფასია  
 სამართლის ქმნის ნიჭი!

**სოსო მახარაშვილი**  
 (ქ. საჩხერე)

\* \* \*

ეს რა ბრბო გვეყოლია,  
 რა თხლე, რა დამბალი —  
 მარტო ერთმანეთის  
 კვლავ გადამკვდარი!..

\* \* \*

„ის პოეზია გაქრა,  
 იგი ოქრო და ვერცხლი“,  
 და, იმის ნაცვლად, ახლა  
 მომრავლდა ჯართი ლექსი!..

\* \* \*

„რა საჭიროა  
 სიტყვები მჯერა“, —  
 უსიტყვე ბოდაც  
 ძალგძის შენ წერა!

\* \* \*

„დავდგეთ იქ, სადაც  
 ქარიშხალია“  
 და ნოდარი დგას,  
 გრიგალაშვილი —  
 სცემს „საქართველოს“  
 ხანძრისძალიანს  
 და ვერაფერი მას ვერ აშინებს!

გათუ მელია

\* \* \*

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,  
 შუალამე იწვის, დნება,  
 თბილისს სევდა დაეუფლა,  
 ზოგი კენისის, ზოგი კვდება!..

ვზივარ და არ მეძინება,  
 ვუსმენ ავტომატის კაკანს,  
 დღისით გარეთ ვერ გავდივარ,  
 ბინა დაემსგავსა საკანს!..

ცა მტრედისფრად არ ანათებს,  
 არემარე დაიბინდა,  
 გული ისე დაიღალა,  
 სიცოცხლეც კი აღარ მინდა!..

ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა  
 და ვერც თასი, ღვინით საესე,  
 ვერ მიქარვებს მას, რაც გულის  
 ბნელ სიდრმეში მოვათავსე!

ბნელ სარკმლიდან ვხედავ: ციდან  
 სისხლის ღვარი მოდის წვიმად,  
 ბევრი ჩვილი დაობლდა და  
 ბევრი ქალი დარჩა ქვრივად!..

რუსთაველის წმიდა ქუჩა  
 სევდის ნისლით იფერება,  
 საქართველოს ისტორია  
 ისევ სისხლით იწერება!..

მეც იმ სისხლით და ცრემლებით  
 უსაშველდ დავინამე!..  
 ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე —  
 მე და ლამე, მე და ლამე!

**ალექსანდრე გორგიშვილი**

\* \* \*

ველარ ვცნობილობ მშობლიურ  
 ქალაქს —  
 ზარბაზნებს სახლი დაუნგრევია!..  
 „ხომ სირეგვენა?“ — მივმართავ  
 დალაქს,  
 ის მიპასუხებს: „კი, სირეგვენა!“

შეხავსებია დებილი დებილს,  
 ვერ აზროვნებენ კარგა ხანია!  
 ვინმე ხანია, თუ სისხლი ძმების  
 იღვრება და მტერს გაუხარია?!

ვინ დაანგრია პროსპექტი ჩვენი,  
 ვინ დაუშინა ტყვია ქართველებს?!  
 გათელეს სული და ჭკუა ბრძენის,  
 იმედი, რწმენა ხალხის გათელეს!

ილიას შუბლი წაბილწეს მურით,  
 ვერ შევაჩერეთ ტყვიების დელგმა!..  
 თერგმა განბანოს ბოლმით და შურით  
 დამხრჩვალნი! დიახ, განბანოს  
 თერგმა!

**ზვიადონ სომხიშვილი**

\* \* \*

სიმართლე კვლავ საშოშია,  
 ვერც კი მოსწყდა ბიჯით,  
 ყველა ნიჭზე საშიშია  
 სიმართლის თქმის ნიჭი!

ყველა დროში საწყალია  
 მართლის მთქმელი ბიჯი,  
 თუ გენებში გამჯდარი აქვს  
 ხბოყვირიას ნიჭი!



სიმართლის თქმით, სიმართლის  
 ქმნით  
 ტკბილზე ტკბილად იწვის,  
 დაენათლა ამ ორი ქვით  
 მტრის შეძენის ნიჭიც!

ვაგლახ, ძველი მეორდება:  
 სიმართლეა ხიჭვი,  
 ვგრევე ერი-ბერისათვის —  
 მისი დაცვის ნიჭიც!

ხან შორეთში გადაკარგავს,  
 ხან კი, როგორც ღუზა,  
 ერთ ადგილზე მიაჭაჭვავს  
 სიმართლის თქმის მუზა!



# კახეთის ჯიშის ყუნობი



„ნაკარკული“  
თბილისი  
1991

## მ. ჯაფარიძე უცნობი. აკოლოგია ზალაკტიონ ტაბიძისა

ეს წიგნი ზალაკტიონ ტაბიძის სიცოცხლეში მომზადებული უკანასკნელი რჩეულის შემდგომადგამტარება დაწერა. ამ რჩეულის შემდგომადგამტარებისა და გამოცემის ფონზე იგი წარმოგვიდგამს ზალაკტიონს — როგორც ავტორს, პიროვნებას, შემოქმედს. გვაცნობს კობის ცხოვრების ბოლო პერიოდს საინტერესო ეპიზოდებს, აღიშრებას და ჩანაწერებს, შემოქმედებით ლიტერატორიანს, გამოცემათა ისტორიას. იხილავს მდიდარ საარქივო და დოკუმენტურ მასალას, ატყობს სხვადასხვა პირთა გამოცემებულ თუ გამოუცემებელ მოგონებებს, ჯაფარ ბაძოვცივებს, პირად შთაბეჭდილებებს. აკოლოგიას ერთვის ზალაკტიონის ნახატები. ეს ნახატები თავისებურად ავსებს და ამდიდრებს კომპლექსურ ცხოვრების ლირიკულ ქრონიკას, როგორც მხატვრული გაფორმებისთვისაც ზალაკტიონის გრაფიკა და კალიგრაფია გამოვიხილეთ. „უცნობი“ პირველად 1988 წელს დაიბეჭდა. განმეორებითი გამოცემა ავტორმა ახალი ფაქტებით, ეპიზოდებითა და თავებით შეავსო.

# მშვენიერი წიგნი

ო, საუცხოო ახალი წიგნი!  
აღამიანურს ვამჩნევ მის თვალებს.  
ვერავითარი სიტყვის მოსმენა  
უფრო ძლიერად ვერ გამაწვალებს.

მე არ ვკითხულობ—ვისია გული  
და სიხარულის ცეცხლი ვისია,  
ჩემთვის ამ მარად მშვენიერ წიგნით  
აღფრთოვანებაც საკმარისია!

ქავთაძის



# სკოლა მოკონსერვატივი

## გალაკტიონის რეალია

ეს ამბავი, როგორც მახსოვს, 1952 წელს მოხდა. მწერალთა კლუბში მწერლები შეიკრიბნენ ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის მოხსენების მოსასმენად (იმ-ყამად ჟურნალს ირაკლი აბაშიძე რედაქტორობდა). მოხსენების მხზანი იყო ღვამსწრეთათვის ქომოვალ წელს გამოსაქვეყნებელი მასალების გაცნობა. მოხსენების ბოლოს ორატორი შეჩერდა კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგზე. თემატიკა ნამდვილად საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. აქვე მან თქვა, რომ გამოქვეყნდებოდა წერილები თემებზე: მაქსიმ გორკის გავლენა ქართული ბელეტრისტიკის განვითარებაზე, მთავრობის და ქართული პოეზია, გოგოლი და ქართული პროზა.

და უცებ პირველ რიგში, სალონიდან დარბაზში შემოსასვლელ კართან მჯდარმა გალაკტიონმა (მას რატომღაც ეს ადგილი ჰქონდა ამოჩემებული) მთელი დარბაზის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— გოგოლეჭი, მოგოლები, შჩოგოლები!.. რაშია საქმე, ძამიკო, სხვათა გავლენის გარეშე ვერ დავწერთ ლექსებსა და მოთხრობებს თუ რა?!

გალაკტიონის უკან, ოდნავ გვერდით მჯდარმა, დავინახე, ნერვულობისაგან ათრთოლებული თითებით როგორ აწვალებდა იგი ქალარა წვერს!..

დარბაზი გაირინდა. სხდომის თავმჯდომარემ რეპლიკა ყურგარეთ გაუშვა, ორატორი ოდნავ შეყვანდა, მაგრამ რამდენიმე წამის მერე, ვითომ არაფერი გაუგონიაო, მოხსენება განაგრძო.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გალაკტიონი დარბაზიდან გავიდა და აღარ შემობრუნებულა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩურჩულ-ჩურჩულ ჰყვებოდნენ:

გალაკტიონის რეპლიკის ამბავი იმავე დღეს მოუხსენებიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისათვის — აკაკი მგელაძისათვის. პირველ მღვანს მაშინვე თავისთან დაუბარებია გალაკტიონ ტაბიძე.

გალაკტიონი შესულა პირველი მდივნის კაბინეტში. პირველ მღვანს უკითხავს, — ნუთუ, თქვენ მართლა უდიერად მოიხსენიეთ დიდი რუსი მწერლებიო?! გალაკტიონი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხებია: — უდიერება რა შუაშია, ბატონო, ჩვენში, საქართველოში, ხომ ასეთი გამოთქმები ოდითგანვეა დამკვიდრებული. აი, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი ხომ ბრძანებდა თავის ლექსში — აკაკიები-ბაკაკიებიო!..

გაცოფებულა აკაკი მგელაძე, — სასწრაფოდ გაიყ-

ვანეთ ეს კაცი ჩემი კაბინეტიდანო! — უბრძანებია მდივნისათვის.

გალაკტიონი ღიმილ-ღიმილით გამოსულა ცენტრალური კომიტეტის შენობიდან.

ნამდვილად მოხდა, თუ ვინმემ მოიგონა ეს ამბავი, არ ვიცი. იმ დასაწყისისათვის კი, რომელსაც მეც შევესწარი, ასეთი გაგრძელება ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

### თეიმურაზ ჯანაშვილი

#### „ყოჩაღ, ძამიკო, ყოჩაღ!“

ორმოცდაათიან წლებში უბნელი ბიჭები ხშირად ვხვდებოდით ღვთაებრივ გალაკტიონს მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან. ერთხელ მისი სახლის კუთხესთან, ვიდრე და ცნობისმოყვარეობით შევეცქეროდით მოაჯირზე მდგარ პოეტს. უცებ ჩვენს ერთ-ერთ ამხანაგს პირში ბუზი ჩაუფრინდა (მას ჩვეულებად ჰქონდა განცდისას პირი დაელო). მას ხველება მაშინ აუვარდა, როცა პოეტების მეფე მოგვიანლოვდა. გალაკტიონმა ეს კარგად შენიშნა და ხელი დაგვიქნია, — ახლოს მოდიეთო! როცა მივუახლოვდით, თანში შევიდა, ფოჩიანი კანფეტები გადმოგვიყარა და იკითხა, — იმას რა დაემართა, ასე მაგრად რომ ახველებსო? ჩვენ ავუხსენით მდგომარეობა. გალაკტიონმა ახლა კანფეტები მუჭით ჩვენს მეგობარს გადმოუყარა. მან რამდენიმე კანფეტი შექამა და ხველებაც შეუჩერდა.

— ეცადე, მეორედ პირი აღარ დაალო, თორემ ბუზის მაგივრად რომ ყელში ვირთხა გაგეჩხიროს, ჩემი კანფეტები ველარ გიშველის! — სიცილით გადმოსძახა მეოსანმა.

—:—:—

დიდ გალაკტიონს ისე გავუთამამდით, რომ ერთხელ ექსპრომტივ ვუძღვენი (ახლა კი, მრცხვენია. მაგრამ რაღა დროსია?!):

გალაკტიონი | ლექსების დმერთი!

თქვენ ჩვენი ზღვა ხართ, ჩვენ — თქვენი წვეთი!

— ყოჩაღ, ძამიკო, ყოჩაღ! — ღიმილით შემაქო პოეტმა და წავიდა (ახლათ, შევეცოდე და მალე გამშორდა).

ისე ვიყავი გახარებული გენიოსის შექებით, ქუჩაში სულ ხტუნვა-ხტუნვით გავრბოდი და მაღალ ხმაზე სიმღერაც კი შემოვძახე. ვიღაც ქალმა დამინახა და მთვრალი ვეგონე:

— ასეთი ახალგაზრდა და სასმელს როგორ გაუგეყებიაო! — ჩაილაპარაკა თავისთვის.

### ივანე ოსაყვილი





ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე თბილისის 55-ე საშუალო სკოლას ორმოცდაათიან წლებში იპოლიტე სურგულაძის გიმნაზიას ეძახდნენ ზედმეტსახელად (იპოლიტე სკოლის დირექტორი იყო).

ერთხელ ვხვდამ: მოსწავლეებს წრე შეუკრავთ და ცენტრში დგას დიდი გალაკტიონი.

მე მას კარგად ვიცნობდი და რომ დამინახა, გაუხარდა.

— ახალგაზრდავ, შეკითხვა მაქვს შენთან, — მეუბნება და თან თვალს მიკრავს იმის ნიშნად, რომ იქნებ თავი დამალწევინო ბავშვების ალყისაგანო.

— გისმენთ, ბატონო გალაკტიონ! — გავუღიმე მე.

— ვინ გიყვარს ყველაზე უფრო დღევანდელი პოეტებიდან? მკითხა ლომილით.

— გალაკტიონ ტაბიძე! — ვთქვი ხმამაღლა, ვითომ არც კი ვიცნობდი.

— დიდი ოხერი ვინმე ყოფილხარ! — მოთხრა და ისე მაგრად დამკრა ხელი ბეჭებზე, რომ კინაღამ ჩავიკეცე. მინდოდა მეც ზუმრობითვე მეპასუხა, — რატომ მირტყამ ასე მაგრად-მეთქი, მაგრამ ბავშვებმა ისევ წამართვეს გალაკტიონი!..

მეორე დღეს კვლავ შემხვდა პოეტი, ხელი ჩამოართვა. გადამკოცნა და მოთხრა. — შენი ოჯახი აშენდა, ბავშვებისაგან რომ მიხსენიო!

— არც მე დამავიწყდება თქვენი ხელის ძალა, ბატონო გალაკტიონ! — ვუპასუხე და ვანზე გავდექი, კიდევ რომ არ დაერტყა.

მართლაც დაუვიწყარია ჩემთვის მაისის ის დღე!

გრიგოლ სურგულაძე

1852 წლის ივნისში ცხინვალიდან ჩვეულებრივად წავიდა, ეგრეთ წოდებულ „ფიქვნარში“ მდებარე სანატორიუმში ადგილი მომიჩინეს ორსაწლიან ოთახში. იქ დამხვდა სამტრედიიდან ჩამოსული ადამ ჩხაიძე. ერთმანეთს რომ გავეცანით, საუბარი ჩამოვარდა ქართულ პოეზიაზე, თანამედროვე პოეტებზე...

ბატონი ადამი მომიყვა: „აქ, ჩემს მეზობლად, ცოტა ხანს ცხოვრობდა ასე 17-18 წლის ყმაწვილი, მძიმედ დაავადებული, რომლის გვარიც აღარ მახსოვს. გაცნობიდან სამიოდე დღის შემდეგ აქედან სასწრაფოდ წაიყვანეს ახლობლებმა. სანამ წავიდოდა, მან თავისი რამდენიმე ლექსი წამიკითხა. მშვენიერი ხელწერა ჰქონდა. ლექსებიც მომეწონა. აქ, ქობულეთში, ყმაწვილ პოეტს პლაჟზე მოსეირნე გალაკტიონი დაუნახავს. იქვე ქალაღზე გაუკაწრავს ეს სტრიქონები:

ერთად ვიხილე ორი ზღვა —  
შავი და გალაკტიონი!

მე ეს სტრიქონები ქალაღზე არ გადამიტანია, ისე დავიხსომე და, აი, შენ ვიამბე!“

მეც ზეპირად დავიხსომე, არ მავიწყდება და ახლა, გალაკტიონის ხუბილეზე, ვამზეურებ ერთადერთ სურვილით: ვინ იყო ის სწეული ყმაწვილი პოეტი? თუ ცოცხალია, ვთხოვთ გამოგვეხმაუროს!

სერგო შურაშვილი







ცხოვრების ეტლის სადარბეჭოში  
საცაა ვაგა მატარებელი  
მიემგზავრება იმედი ჩემი  
ბედის ვარსკვლავის სადარბელო.

ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება. —  
რა საჭიროა ეხლა გოდება.  
მატარებლისგან რის მიმიღია  
ან თანაგრძნობა ან შეცოდება?

მატარებელი თვლემს, როგორც  
ლავა.  
მატარებელი ხუთ წუთში ვაგა,  
ვინც სხვებს აცილებს. დროა  
ჩასვლისა,  
მატარებელი ხუთ წუთში ვაგა.

აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,  
მივდევ ვაგონებს, მახრჩობს  
გრძნობები.  
გემშვიდობები სამარადისოდ,  
სამარადისოდ გემშვიდობები!

ნეტავ ასეთი რად შერგო ბედი, —  
ყოველთაშს ვკარგო თითო იმედი,  
გამოსალმების ხელოვნებისთვის  
ნუთუ არცინ არს პოეტის მეტი?

\* \* \*

ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში,  
უღაბურებად იქცა სოფელი.  
ნუ გაცოდები, რომ ასეთ დროში  
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

შეიძლებოდა მქონოდა სული  
კეთილი, ნაწი, როგორც დობილი,  
მაგრამ ცხოვრება არაა სრული,  
მცირე ბედისაც ვარ კმაყოფილი.

ვით შეიძლება, იქნე ლამაზი,  
როცა სიტლანქე მოდის მგზობელი?!  
დროა, დავტოვო ფიქრი ამაზე,  
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.

საშინელება, სიბნელე, გესლი,  
დემონიური ცეცხლის პროფილი.  
ბორბოტო, სუნთქვა ნუ გამიძნედე,  
მადლობელი ვარ, ვარ კმაყოფილი!

დღეს დღეები ეცლება

დღეს დღეები ეცლება მშვიდი და მოავკარგე,  
გაპქრა ის ქარიშხალი, ის სიცილიც დავკარგე.  
ღამით რომ დასცქეროდა მარტოობის სანთელი,  
ის რითმები, ის ცეცხლი, ის წიგნები დავკარგე,  
დავწვი ბელნაწერები! სუსხი და ურუანტელი,  
იმ ედემთან არასდროს არ ვიქნები... დავკარგე.  
გრიგალმა გაიტაცა პოეზიის მანდილი,  
ძვირად მოპოებული, მწარ მიგნებით — დავკარგე.  
ყველაფერი დავკარგე... უცებ გაკრთა სანთელი,  
მოვიპოვე ყოველი, რაც იქნება — დავკარგე.

\* \* \*

შარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი —  
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

საშინელი რამ იყო კარზე მათი მოდგომა, —  
გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა.


ო, ეს წელი გულს გლეჯდა, როგორც მიწას აფთარი, —  
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

მათ გზა მქონდათ ღბენისა და მე კი დაზაფრული, —  
ზამთარი, შემოდგომა, ზაფხული, გაზაფხული.




გასტრონომი

ხორცი • ყველი • კარაქი • კვერსი




არ ჩახდა შენაპირი,  
ვერ ვნახე ვერაფერი!..





\* \* \*  
 ქართლის ცხოვრება მძიმეა, ეკლიანია სავალი,  
 ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი — მრავალი.  
 კაციც ის არის, ვინც კოვა ღირთაგან გამოსავალი.  
 ვინაც თავისად ჩათვალა ხალხის თავგადასავალი.  
 ქართლის ცხოვრება მძიმეა, ეკლიანია სავალი,  
 ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი — მრავალი.  
 წელთა დენაში, შამით-შამს იღლება, ძალა ეღება,  
 ღვინოც კი სისხლიანია, მოშორდი, არ დაბელება!

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი



# გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ტ ა ზ ი ი ს ს ა ს ლ - ე ჟ ე ჟ ე ჟ ი

ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში დაუდგენელმა ბორცმორქმელებმა  
 გალაკტიონის სახლმუზეუმიდან მოიპარეს ლადო გუდიაშვილის ნახა-  
 ტები — „ღურჯა ცხენები“ და „მური“.


გ ა ზ ა თ ა ვ ი დ ა ნ

დაცემა, გახრწნა, გადაგვარება!..



# ქართული

რომ ფანების შემცირებას უკვე აღარ ველი..  
ჭერ არასდროს არ ყოფილა ასე ძვირი ყველი..



შეშლილი სახეები  
ჩონჩხიანი ტყეებით  
დაცხრილული დღეები  
რბიან, მიიჩქარიან!

განა შავრა ცხენებით —  
მწვანე „ბეტეერებით“,  
ავტომატის ხველებით  
ბანდიტები არიან!  
ვინც არ იცნობს შენს სახეს,  
ანდა კიდევ შენს სახელს,  
იმ შორეულ შენს ძახილს  
მხოლოდ ის დაიჭერებს.  
და შენდა სანუგეშოდ  
შენი მშობლის უბეში  
ისევ შენგან ნაგეშებს  
სძინავთ ბოროტ ქიმერებს.  
ამ უგონო თარეშში,  
საოცნებო მხარეში,  
ზეცად თუ სამარეში,  
წყველით შენაჩვენები,  
ვით სამუმი საპარის,  
ეშმასთან წილნაყარი,  
სატანური ხარხარით  
ქრიათ „ბეტეერები“!

## მტარი გაახარე!

წინ, ვაჟაკო! —  
„ბეტეერი“ გააქანე, გააქანე!  
შენთვის წმიდა არ არსებობს,  
მიდი, ეშმას ეთაყვანე!  
ვილაც მკახედ ისერის გზაზე!  
რა ძალაა „კოლტის“ ხმაში!  
არსად ისე არ ისვრიან,  
როგორც აქ, ამ ქვეყანაში!  
არსად ისე არ არსებობს  
ნგრევის უინი, ბრძოლის ქარი,  
არსად ისე არ გადმოხეთქს  
უგნურების ნიაღვარი,  
და არსად მთელ ქვეყანაზე  
არ ხოცავენ ასე ვნებით,  
ბასრი დანით, ცხელი ტყვიით  
და ამგვარი გატაცებით!..  
ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს  
დამბუგავი ცეცხლის ტბაში,  
ვით ქაბუკი ნიღბოსანი აქ,  
ამ სნეულ ქვეყანაში!  
მაშ, ვაჟაკო,  
შეუბერე, „ბეტეერი“ გააქანე,  
სისხლით წითლად გადაღებე  
შარაგზა და ველი მწვანე,  
მიდი, მტერი გაახარე!  
გააქანე  
გააქანე

ნუგზარ აფხაზაძე

ჭერ არასდროს არ ყოფილა  
ასე თეთრი ყველი,  
იმის შემდეგ, რაც შეცვალეს  
კანონები ძველი!  
დილით ვეძებ რძის ფხვნილებსა  
და წყალ-წყალა მაწონს!..  
ასე უსაშველოდ ძვირი  
ყველი მე არ მახსოვს!..  
ყველი თითქო ზამბახია,  
შუქთა მკრთალი მიძივით  
და მის გვერდით დახლზე მოჩანს  
მსუბუქ სიზმარივით  
ცელოფანში შეფუთული  
წვრილი ვერმიშელი!..  
ოჰ, არასდროს არ ყოფილა  
ასე ძვირი ყველი!  
აქ, ჩემს ახლო, კარაქის ლანდს  
სძინავს სამუდამოდ,  
აქ ცარიელ თაროებზე  
ლაღად და საამოდ  
ქლურტულეზენ თაგუნები,  
სეირნობენ მშვიდად,  
ადრე კი აქ თურმე ძეხვი  
იღო გასაყიდად!..  
და მეც მოგვდე ისე, როგორც  
პოლიტმოშიმშილე,  
ოლონდ ვთქვა, თუ ყველით ყელი  
როგორ ჩავიგრილე,  
თუ სიზმარში ძროხის ხორცმა  
ვით შეისხა ფრთები  
და გაშალა ოცნებათა  
ლურჯი იალქნები,  
თუ სიკვდილის სიასლოვე  
როგორ ასხაფერებს  
მოშემშვილის მიერ ნამღერ  
შაირს და სიმღერებს,  
თუ როგორ ვგრძნობ, რომ  
კუქისთვის,  
კამამ რომ გაზარდა,  
სიკვდილის გზა არაა არის,  
შემშვილობის გარდა,  
რომ ამ გზაზე არ გვეყოფა  
ჩვენი ჩამაგირი,  
რომ ბაზარი არ ყოფილა  
ადრე ასე ავირი,  
რომ, აჩრდილო კომუნიზმის,  
მე შენ გეგებები,  
რომ მუშა ვარ, ვერ ვიპარავ  
და შიმშილით ვკვდები.

წინ, მეეტლევ! ეგ ცხენები  
გააქანე, გააქანე! —  
სხვა ტრანსპორტი აღარსად ჩანს,  
სამსახურში ვაგვიანებ!..  
მსურს, რომ დროზე გამოვცხადდე,  
გვედრები, გეთაყვანე,  
წამიყვანე!..  
ტროტუარი ისე არის  
გამვლელებით ავსებული,  
შემხვედრს გვერდს ვერ აუვლიდა  
მესხიც, ნეტარსხენებულო!  
ხანდაზმული ქალბატონი  
ნერვიულობს, ლელავს, ლელავს,  
როცა ვაჟი, ბრვე ვაჟაკი,  
უბოდიშოდ გადათელავს!..  
გზებზე, გზაჯვარედინებზე  
მე სიჩუმის მესმის ენა,  
აღარ უშლის ძრავების ხმა  
ჩემს პოეტურ აღმაფრენას!..  
ველარ ვხედავ ტროლეიბუსს,  
ვერც — ავტობუსს, ვერც —  
ტრამვაის,

მანქანა თუ გამოჩნდება,  
ან — საქმოსნის, ანდა „გაის“,  
ჩუმად! მგონი ავტობუსის  
საცოდავი ღმუის ძრავა!  
არსად ასე არ ღმუიან  
მოტორები შემზარავად!..  
არსად ისე არ ადიან  
ავტობუსში ბრძოლის უინით,  
არსად ისე მძლოლს და მგზავრებს  
არ ლანძღავენ იმდენს შიგნით  
და არსად არ ჯიკაობენ  
სკამებშუა ისე ვნებით,  
ისე ცეცხლით, ისე უინით,  
იმნაირი გააფთრებით,  
ვითარცა ჩვენს საზტრანსპორტში,  
ოლონდ — პიკის საათებში!..  
და მეეტლევ, თუ საზტრანსპორტს  
ვერ ველირსე, გეთაყვანე,  
მხოლოდ შენი იმედი მაქვს  
სამსახურში მიმიყვანე!

## ირაკლი ბუნნიკაშვილი

### მატარებელში

ტყუილუბრალოდ გიპყრობს  
ეკვები —  
იმას ჩავიდნე, რაც მომინდება!  
ახლა მოიტათ ფული, ბეჭედი  
და ნურათრისა შეგეშინდებათ!  
ლალი ცაჰიტიშვილი





ს ვ ი ნ ტ რ ი

არც დღელეთში, არც ქიზიუში,  
არც შერეთში,  
არც დღეის დღეს, არც ხვალეთში,  
არც შერეთში,  
არც ზოზოხში, არც ცილინდრში,  
არც ბერეთში, —  
სვინტრი იგი ხარობს თურმე  
ი შ ე რ ე თ შ ი.

უნდა შუბლით ფიქრთა ნისლი  
გ ა შ ე რ ე კ ა,  
მსურდა სწრაფად მსოფლიოსთვის  
და შ ე რ ე კ ა,  
რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა  
ა შ ე რ ე კ ა  
და რომ სვინტრი ბალახია  
ი შ ე რ ე თ შ ი.

\*\*\*

შენ რომ ამბობ, ზიზლი თითქოს  
შთამომავლობითა,  
ეს უბრალო, უნდა ითქვას,  
ზღაპარი და მითია.

სულ სხვა დროს კი, გარდა შტრომის,  
სიძულვილი ხვითოთა —  
მშვენიერი შეგობრობის  
რკალში გადავიდოდა.

\*\*\*

შეცდომა ქვეყნად რაოდენია  
(არ გეცინება და იცინი კი),  
კაცი მგონია გმირი, გენია  
და აღმოჩნდება უცებ ცინიკი.

მე შენანება მცდარი იმედი,  
კვლავ დანარცხებად მიწას შთენია  
აღტაცებული ცად განიმედი.  
შეცდომა ქვეყნად რაოდენია!

\*\*\*

ამ ათას ცხრას ორმოცდათორმეტს  
თუ უხიფათოდ გავსცდით როგორმე,  
თუ წელიწადი დავტოვებთ მიღმა,  
როგორმე ბედმა თუ გავვიღიმა,  
და ისე, რომ არ გადავცდეთ  
ნორმებს,  
თუ გავვტიეთ გზაზე როგორმე, —

და, რაკი ერთად ვერ დავვტიეთ,  
როგორმე გზაზე თუ გავვტიეთ,  
თუ მოვაგვარეთ ეს შტკვრის ნაპირი,  
ჩვენთვის საჭირო და შესაფერი, —  
მაშინ, ო, ბედო, აგინებთ ხანთელს,  
რომ განგვარინე ამ კორიანტელს,  
რომ ღირსეულად ვკრეფთ დაფნის  
რტოებს,  
რომ გავცდით ძველი ქუჩის  
იწროებს...

\*\*\*

იყო ვეჟილი ფრად შართალი,  
იხეთი, ქვეყნად რომ არ ფასდება,  
უყვარდა სიტყვის საღტო-მარტალი  
და სიტყვიერად გაფანტასტება.

ეცვა ბრჭყვიალა ფარჩა-ფართალი,  
თუ „საქმეს“ ხედავს, ერთი ასდება,  
თუ ფული არის — არის სარდალი,  
თუ აღარ არის — ის განაზდება.

ასეთი კარგი და ხელოვანი,  
ცხვირი er face, ფეხი — პროფილი,  
მიცვალებული სახელოვანი  
წევს ბალდახინზე გამოწყობილი.

\*\*\*

წარმოთქვა რა სიტყვა თვისი  
გრძელი და საპატირი,  
ერთხელ კიდე აღრიალდა  
და გაჩუმდა რადიო.

და ვიფიქრე: ეხლა მაინც  
მოისვენებს ტანჯული!  
მაგრამ აგერ მოქალაქე  
მოდის გადარანჯული.

ცა ქულად არ მიაჩნია  
და გაჭივის შიქასტებს,  
მთელ თვის გრძნობას უხინდისო  
თავდადებით შიგა სდებს.

ა კ ლ ო დ ი ს მ ე ნ ტ ი

აპლოდისმენტი ხანდახან არის  
ის ზენა ქარი, შენ რომ ისმენდი,  
ამოძრავება სიუალების ჩქარის —  
აი, რა არის აპლოდისმენტი.

ტაშიც საქმეა, საქმეა, ვიდრე  
აზრთა წყობაში არა ხარ შრული.  
ტაში ზოგისთვის არის სიმღიღრე,  
ზოგისთვის კიდეც — მხოლოდ  
აბსურდი.

მაგრამ თუ სწორად დგახარ, დადექი:  
ტაში ცივია, ტაში ჩქარია,  
ტაში არ არის გამოსადეგი,  
თუ იგი მხოლოდ ზენა ქარია.

\*\*\*

შენ რომ სურათი მთხოვე, ო, შერი,  
და გითხარ: სურათს მოგართმევ  
შერი, —

ალბათ გულში სთქვი: „შერი-შერეთი“  
ჩვენი ვერ წავა შორს იშერეთი.  
მართლაც რაგვარად ამ სიტყვამ —  
„შერი“

წავგართვა იშერთ სიმშვენიერე!  
ხად არს, სოლომონ, ბეკინა, პეტრე,  
თქვენი სიმკვირცხლე, სიმხნი,  
სიმკვეთრე?

და ამიტომაც მოგართმევ, შერი,  
სურათს ეხლავე და არა შერი.

\*\*\*

გამოსულა ტიტველი  
და ბაზარზე დიდგულობს,  
ერთი ნემსის მუიდველი  
ბათმან რკინას კითხულობს.  
მისი გული მით გულობს,  
სიმწრისაა მზიდველი,  
ბათმან რკინას კითხულობს  
ერთი ნემსის მუიდველი.

\*\*\*

მგელი ბატკანს შეხვდა ნავსად,  
შეკრთა, დაიბანდა...  
ცად კი ერთი, კასრის მსგავსად,  
მთვარის დისკო ჩანდა.

მგელმა ბატკანს ჰკითხა: კასრის  
მსგავსი რაა გარეთ?  
ბატკანმა თქვა: ჩემის აზრით,  
ცაზე ბრწყინავს მთვარე...

მგელმა ბატკანს (რა გგონიათ?)  
გაპკრა კბილი ბასრი:  
როგორ ბედავ იქონიო  
საკუთარი აზრი..



# ო, ნეტავ იმ დროს!..

(გალაკტიონისადმი)

სხვა სურათები  
ალბომში მიღევს,  
კედელი ოდენ  
ამაყობს შენით,  
და ეს სიამეს  
მანიჭებს იმდენს,  
რამდენსაც შენ თუ  
იტყოდი ენით!

მ უ და მ,  
როცა კი  
ფიჭრის დროს ვპოვებ,  
გულიდან სისხლის  
წვეთები მთხოვენ:  
უწინარესად  
შენ მოგიგონო,  
შენ — ყოვლადწმინდა  
თანამედროვე!

შენს მალალ სახელს,  
ბუმბერაზს მთასებრ,  
მსურს, ქვეშ გავეგო,  
როგორც ფარდაგი,  
რადგან სულ სხვაგვარ  
სიამით ავსებს  
გულს შენი ლექსის  
მტევნის ბადაგი!

ო, ნეტავ იმ დროს,  
როს მტკვარს,  
შენს სახლთან,  
გადაუფრენდით  
ჩემი ავტოთი  
და გზა-გზა, შენი  
ლიმის მზით გამთბარს,  
ზღვის სიღრმის სიტყვის  
თაფლით მატკობდით!

ახლა სხვა დროა,  
და ის დიდი დღე,  
მინდა, სალოცავ  
სანთლად ავანთო,  
ოკუპანტებზე  
რომ მიმიითეთე:  
„ძამიკო, აქ რა  
უნდათ ამათო?!“



ბრძენკაცი იყავ!  
იმათი ზიზლი  
შეგ გულში გქონდა  
ხანკლად გაყრილი,

ვინც გაგვიმწარა  
ჯერ თებერვალი,  
მერე მარტი და  
ბოლოს — აპრილი!..

რა დამავიწყებს,  
ძარაში ოდენ  
დავწვდი ორფერად  
ბრჭყვილა ორდენს,  
და რა მოგართვი,  
ჩაიჭირქილე:  
„გმადლობთ, ძამიკო!..  
თუ გინდა, გქონდეს!“  
არ გიზიდავდა,  
ურიცხვთა მსგავსად,  
ჩინ-სავარძელი,  
ვით ანდამატი,  
და არც მეხოტბედ  
ქცეულხარ  
ნავსად  
შერაცხულ სისხლის  
ფერის მანდატის!

გული, რაც უფრო  
დღე მიმოკლდება,  
მით უფრო მეტად  
იმაზე მწყდება, —  
ციო მოსულს დიდი  
შოთას ღვიძლშვილად, —  
რომ ვერ გზვდებოდი  
მაღ-მაღ,  
ხ შ ი რ-ხ შ ი რ ა დ!

სხვა სურათები  
ალბომში მიღევს,  
კედელი ოდენ  
ამაყობს შენით,  
და ეს სიამეს  
მანიჭებს იმდენს, —  
სხვა — ვერვინ, —  
შენ თუ  
იტყოდი ენით!

მუდამ,  
როცა კი  
ფიჭრის დროს ვპოვებ,  
გულიდან სისხლის  
წვეთები მთხოვენ,  
გადილო, როგორც  
ერის ღმერთკაცი,  
ყველაზე დიდი  
თანამედროვე!



ლექსებს არეინ არ მიბეჭდავს,  
 არც არავინ მპატრონობს,  
 თუმცა დიდი პოეტი ვარ,  
 'გალაკტიონ ბატონო!  
 მეც დავწერე ერთი „მერი“,  
 ორი „თეთრი ცხენები“,  
 „მესაფლავეც“ დავიწყე და  
 ჯერ ვწერ სვენებ-სვენებით.  
 „ნიკორწმინდა“, „მე და დილა“  
 გადაკეთე თეთრ ლექსად  
 (ეპ, რამდენი ცრუპოეტი  
 ახალ რიტმებს მესესხა!).  
 დღეს ურითმო, თეთრ ლექსებში  
 ყველასთან მაქვს შეჯიბრი,  
 თქვენ კი აზრზეც არ იყავით,  
 თუ რა იყო ვერლიბრი!  
 მეც რიონთან დავიბადე,  
 გვარადა ვარ ტაკიძე,  
 საქმეს ერთი „კ“ აფუქებს,  
 ისიც ძალად ამკიდეს!  
 ადრე ტაბიძე ვყოფილვარ  
 (ვინატრებდი უკეთეს?!)  
 და თქვენ რომ არ დამეჩრდილეთ,  
 გვარი გადამიკეთეს!  
 მე რომ გვიან გავჩნდი ქვეყნად,  
 ეს მადარდებს ძალიან.

თქვენს მერე რომ დავიბადე,  
 ეს რა ჩემი ბრალია?!

.....

ბენიოსი ვარ! წერილს გწერთ  
 ლექსად,  
 ჩემზე ფსტატი ლექსმწერი ითქმის,  
 ერთფეროვნება არა მაქვს წესად,  
 მითომ შევცვალე სტრიქონთა  
 რიტმიც!  
 არ მომწონს თქვენი „დროშები,  
 ჩქარა!“  
 შევცვალე ასე: „მიტინგზე, ჩქარა!“  
 გადავაკეთე „ცეცხლის მზე“  
 ბუხრად,  
 ხოლო სანთლები ვაქციე კვარად!  
 მეც მყავდა მერი შეყვარებული,  
 გადავაკეთე ისიც „მერიკოდ“,  
 ლირის მაგივრად ჩავწერე „გმირი“,  
 რითმის საქმე რომ კარგად ვერ იყო.  
 გეზი ვუცვალე გურიის მთებსაც,  
 მოკლედ, თქვენს ლექსებს დავატყვე  
 კვალი,  
 თან იასამანს, ქარის მაგივრად,  
 ჩემს ლექსში ნაზად ატოკებს ქალი!..

.....

ჩვენს შორის ვინ დიდი არის,  
 ამას უამრ გამოცდის!  
 თქვენ დღეს ასი წლისა ხართ და  
 მე დღეს გავხდი სამოცის!  
 პოეზიის სამეფოში  
 ჩემი ლექსიც რაკი დევს,  
 ნუ ვიჩხუბებთ, ერთად ვიყოთ  
 ტაბიძეც და ტაკიძეც!  
 აღარ მინდა თქვენთან დავა,  
 არც რაიმე ექსცესი,  
 ვინაიდან ჩემს დიდ ნიჭზე  
 ლაპარაკობს ეს ლექსიც!  
 უკვდავების შენობისთვის  
 მეც ვარ კარგი მასალა!..  
 მწამს, ჯაარკვევს ისტორია  
 ჩემს ასავალ-დასავალს!

ტაკიძის წერილი ტაბიძის სახლ-მუ-  
 ზეუმში აღმოაჩინა და შთამომავლო-  
 ბას გადაურჩინა მანო ცინცაძემ

ისევ უნდა  
 საო...

## ბალაკტიონ ბაბიძის ქურონალი

ტომის 7 თებერლი 1922 წ.  
 ————— ქურონალი ————— № 6 —————  
 გეორგი ღვთისმშობლის  
 რედაქციის მამბაჩო  
 ————— ბენიოსი —————  
 სასტოლი ქურონალი

კვლავ გკითხულობდი და კვლავ მტკიოდდი! —  
 შენ თუ ტირილდი, შენთა ცრემლთა კვალად ვტიროდი!..  
 არ მოკლებოდა მაგ საკვირველ კალამს იოტი —  
 ისევ ერთი ხარ გალაკტიონი!







ქვეყნის  
კომუნისტური  
პარტია



# ქვეყნის ტაქტიკა

## თხზულების თარგმანი



დღეს ერთ ადგილს — კვდობას,  
 ის უმარტოველი თოქია!  
 თუ წინ ვაბრუნვანს — მსოფლად ეს:  
 ბაქატონოლოგია  
 ნუ ეტყვი უთვალ სიანსს:  
 დამახანს, უნე კი მოგია  
 პირიქით, მაღლა ავსწიოთ  
 ბაქატონოლოგია  
 ვაზა მას, ვინაც ცოდნისთვის  
 ძალა არ დაუგობია:  
 გაბრუნდეს მდინეობა —  
 ბაქატონოლოგია  
 არსებობს დარვი მრავალი,  
 ფიზიკა, ჯოლოგია,  
 არსებობს, დიარ, მაღალი  
 ბაქატონოლოგია  
 გვიყვარდეს, კაც ნათელია,  
 აღმოვფხვრათ, კაც სერიოზია,  
 ჩვენ დროსად მაღლა ავსწიოთ  
 ბაქატონოლოგია  
 მხსკა — ტატიან სიონა  
 და წიფაიტაღა გობია  
 მაღლა გაიგვანს, კაც არის  
 ბაქატონოლოგია  
 ახლობან: ვინა, პარტიზი,  
 იმ კიდევ ნიუ-იორკია,  
 გრუნინავს აპ, სეპარტევილოში,  
 ბაქატონოლოგია  
 ჩვენ კოეზია მაღალი  
 რომ უმარტოველით, დრო კია,  
 მაკადის წინ მივბრუნდეს  
 ბაქატონოლოგია!



*Handwritten signature in blue ink.*





შახვედრა გალაკტიონთან  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში 1968 წელს

ცოდნის ტაძარი ზღვას ჰგავს! —  
დიდ გალაკტიონს ხვდება!..  
ამდენი ხალხი დარბაზს  
ვინ დატიოს. ნეტავ?  
ახალგაზრდები ალყად  
გარს შემორტყმიან პოეტს!..  
მათ სხვა ნაცნობი არ ჰყავთ  
და მოსაწვევებს სთხოვენ!..  
დარეკა შესვლის ზარმა,  
მაინც ვერ არღვევს ალყას:  
„არც ერთი ცალი არ მაქვს,  
ძამიკობო, რა ვქნა?“  
გულ და გონება მნათი  
წინ მიბიჯებს ნელა,  
ვარდნარ სცენაზე აღის  
და ცაში ააქვს სცენა!..  
„მის შესაქებად ენა  
უძლური არის ჩვენი!“ —  
მომხსენებელი ლელავს,  
მგოსანს სიღინჯე შევინს,  
ხელს ისევამს ფართო შუბლზე  
თვალთ ვილაცას ეძებს  
და ეშმაკურად უსმენს  
მისდამი მიძღვნილ ლექსებს!..  
ვარდებს ვერ უთავდება!..  
ბოლოს ეძლევა სიტყვა  
კაცს — ჭკეულს უკვდავებად.  
პოეტთა მეფედ. მიითაღ!..  
და სუნთქვაშეკრულ დარბაზს  
ათრთოლებულად ათოვს  
ხმა — ეოლესის არფა,  
ქართული, სამარადო:  
„რომ შემხვდით სიყვარულით,  
ნათლით რომ ასე ნათლობთ,  
გმადლობთ სულით და გულით,  
ო, გმადლობთ! გმადლობთ!  
გმადლობთ!“

**მარადისობის გადაღო**

წაკითხულია უნივერსიტეტელთა  
შეხვედრაზე გალაკტიონთან,  
1968 წელს

ლექსის ირემო — მევირალო  
ჩვენდა გულგანახარადა!  
შენ — ფეხზე მოსიარულე  
„ვეფხვის და მოყვის ბალადავ“!

აკვანი ლექსმა გირწია —  
პოეტს — გენიადლოცვილს!  
შენ უკვდავებამ გიწყვილა  
და უკვდავ ლექსად ამოსკიდი!

**ზაურ  
ბორჯეაძე**

ლექსი გეყოფა დიდებად,  
ოლიმპიელთა ხმასწორო!  
გიძღვნა ქართული ცის ნებამ —  
შენ — უკვდავება სახსოვრად!

ქუხს შენი ხოტბა უხვადა,  
ამ ხოტბამ სული ამინთო!  
ქართული ლექსის მუხა ხარ  
და პოეზიის ამინდი!

მარადისობის ბადალო,  
სიმაღლევ მარადიანო,  
ქართული სიტყვის მადანო,  
სიმძლავრევ არაგვიანო!

დიდ არს დღეს შენი სახელი,  
დიდება შენი დიდიო! —  
ქართული სისხლის ლანჩერო,  
ქართული სულის მინდიავ!

გული მთხოვს, გითხრა ხათქმელი,  
გულიც ლექსია თითქოსდა!..  
გული მთხოვს, როგორც ვეფი  
სიკვდილყამ ბალახს ითხოვდა!..

შენი სიმაღლის ჭირიმე,  
გიღმერთა დედათბილისმა!  
შენ აკაკივით ტკბილი ხარ,  
ილიასავით ტკბილი ხარ!..

მე გიტყვი სიტყვას უტყუარს —  
მაშინ მოვკვდებ თუ ვერ გითხრა! —  
შენ შოთასავით ერთი ხარ!  
შენ ვეფასავით ერთი ხარ!

ვინა თქვა შენი სიბერე?!  
სილაყვარდისკენ ვაგვიძღვ,  
და ნუ მოგვაკლებ სიმღერებს,  
დიდ საქართველოს გაფიცებს!

**გალაკტიონი**

წარწერა ვახტანგ ჭავჭავაძის  
წიგნზე „უცნობი“.

გამოასწივა უცნობმა ღმერთმა,  
გაპოიარა უცნობი ცის ვზა  
და ჩამოვიდა უცნობი ჩვენთან  
ჩვენთვის უცნობი  
გალაკტიონიდან!..

სხეულით იყო გამომწყვდეული  
დედამიწასა და ზეცას შორის!..  
გადმოისროლა ბოლოს სხეული  
და დარჩა სული — „გარსველაში“  
შორს — შორს — შორს!..

ქართული ზეცის ცრემლიან  
თვალებს  
ეამაყები, აქ ამოსული!..  
აივსო წყნარი მთაწმინდის მთვარე  
შენი მარადის ობოლი სულით!  
გამაღლებს სევდა და სინანული,  
გძინავს სევდასა და სინანულში,  
გმფარველობს დაფნის გვირგვინის  
სუნი,  
სულს ითქვამ დაფნის დიდებულ  
სუნში!..  
თვალეში — ცივში და დახუჭულში  
შენ ჩაგფერფლია ხანძარი ვენების!..  
გათოვს სიზმრებით დაღალულ  
სულში,  
თოვლით გცვივა და თოვლითვე  
თბები!..  
გაფიქრებს დაბლა დაშვების შიში  
სიკვდილ-სიცოცხლის ციური ძაფით,  
შენ გძინავს დაფნის გვირგვინის  
ჩრდილში  
და, ერთადერთის, შენ გკერა  
დაფნის!..  
ხარ მარადწმიდა მთაზე ასული,  
ლექსით და სუნთქვით, სისხლით და  
ნერვით!..  
ამაყობს შენი ზვიადი სული,  
რომ აწ და მარად მოგწყვდება ვერვინ!  
გამაღლებს სევდა და სინანული,  
გძინავს სევდაში და სინანულში,  
გმფარველობს დაფნის გვირგვინის  
სუნი,  
სულს ითქვამ დაფნის დიდებულ  
სუნში!

შენი ვეფემერების  
გვეფერება ფერები,  
გვეფარება ფარები  
შენი მარადისობის,  
საიღუმლოვ სიმაღლის,  
სულის ასიმღერების —  
ღვთაებრივად ენთე და  
ღვთაებრივად იწვოდო!..  
გაუმეფდი აწმყოსაც,  
მომავალსაც, წარსულსაც!  
ღიახ, ერთადერთი ხარ,  
იქნები და იყავი  
შეეშენე შენ შექად  
შობლიურ ცას, ქართულ ცას  
და ფეხვები გაუთბე  
უკვდავების ცივ ყვავილს!





# აკაკი და ილია ზღვის პირად

დადგა ზღვის პირად. ვით ბუმბერაზ მუხების ლანდი,  
ორი დიდი ხნის, მეგობარი, ორი გიგანტი,

ქცეული ღელვად.

აკაკი ამბობს აღელვებით „ნეტავი, ოდეს  
აღსდგეს შავი ზღვა და შავ მელნად გადიქცეოდეს,  
უშრეტელ მელნად,

რომ მისით უხვად სარგებლობდეს პათიოსანი  
კალმის მებრძოლი, ყველა გამირი, ყველა მგოსანი,  
ხმა იყოს გრგვინვის, —

პრესა მღელვარე დაუმცხრალად სწევდეს ქველობას  
და მით არყევდეს რუსთ საწიზღარ თვითმპყრობელობას,  
ტახტსა და გვირგვინს!“

„ესეც მოხდება, — უპასუხებს დიდი ილია, —


ჩვენი ცხოვრებაც ეხლა ღელვა და ჭიდილია,

მარადი „ვინ—ვის“, —

გახედე სივრცეს... მთელი ეს ზღვა, ნეტავი, ოდეს  
ერთ უზარმაზარ არყის ქვაბად გადიქცეოდეს,

მაშინვე ხარბი

დაუფიქრებლად გადეშვება სათრობად რუსი,  
შიგ ჩაიხრჩვება და გამჭრება, როგორც ბურუსი,  
მეფე, უანდარმის!“



მე არ მინახავს თოვლი იმდარი,  
ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვართ რუსები,  
მაგრამ კვლავ ვაჩნდა მათი მინდორი,  
მათი ნისლეზი და ბურუსები...

*ყუდად აორს  
მთაწარს  
ყუდად აორს  
ყუდად აორს!*

არის ევროპის ზღაპრითა თანა  
ერთი მცირეა მცირე ძველანა,  
ძველანაც მცირე, ცხოვრებაც მცირე...  
დაჯეპ, იბირე, იბირე, ნანა!

ძმამ ძმას  
ხანჯალი  
ახია  
გულში!

კაფუციათი





ია-ვარდი რომ არ არის, ხად  
მოვკრიფო?!  
\* \* \*

საქართველო მხოლოდ  
პრასი და ქინძია,  
საქართველო ერთ დროს  
იყო სახელმწიფო,  
საქართველო ეხლა  
არის პროვინცია,  
გარეშემო ბანდა არის და ოკრიბა,  
თუ ვინმეა — გალაკტიონ ტაბიძეა!

\* \* \*

ეს — ვალიას, ეს — თედორეს,  
ეს — ტარიელს, ეს კი — მოსეს!..  
ქერ ვითვლებით ქართველებად,  
თუ არ გაგვაესქიმოსეს!

\* \* \*

გადამთიელი გადია  
სწუხს: ბევრი ღამე ათია,  
არ სძინავს იმ შეჩვენებულს,  
ეს ოცი წელიწადია!

## მ ე ნ ა ხ შ ი რ ი

ოქროყანელი ვარ მენახშირე,  
ვირით ტფილისში სვლა დავახშირე,  
ჩემს შეძახებას ისმენს გზა ბშირი:  
— აბა, ნახშირი, კარგი ნახშირი!

მეც ავიკიდე, ვირსაც ავკიდე,  
ცოტალა დამჩა, ბევრი გავუკიდე,  
როს აივანზე ქალი თმა-ბშირი  
ნაწად შეძახის: — რა ღირს ნახშირი?

ვუთხარ: — აილე, რაიც დიღია,  
რომელი გინდა, მომიყიდი:  
გინდა აილე, ვირს რომ ჰკიდი,  
გინდ — ეს აილე, მე რომ ჰკიდი!

ქალმა დამწყევლა ღამაში პირით:  
— მომკვდარხართ შენცა და შენი  
ვირიც,

ობრად დაგფშენია შენი ნახშირიც,  
შენი დაგეტეს, მიწამ გყოს პირი!

წუევლამ არ გაქრა: მივალთ ტაატით  
მე და ეს ჩემი დიდუურაანთი,  
და შეძახებას ისმენს გზა ბშირი:  
— აბა, ნახშირი, კარგი ნახშირი!

\* \* \*

არ ვარგა ოთხმოცი  
გრადუსით გადახრა,  
ცოცხალი ცხოვრება  
არ უნდა გადახრა.  
არ უნდა იფიქრო:  
მე ვარ და ნაბადი,  
უველაზე ძლიერი  
ქვეყნად დანაბადი!

\* \* \*

აი, რა შვის სიჭმარია:  
აირევი ივერია...  
აი დროშა — აშორდია.  
აერების სიბერეა.

## ფიფილოზის წიგნი

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)

გადაცმულ არის აწ სხვისი კახით,  
რომ იქვის არვის მისცეს საბაბი,  
ლუარსაბ ჰქვია, ნამდვილად კია  
ტარიელია, რის ლუარსაბი!

რალაც კუბრიანს, უმადლოს,  
ვისმათს

დღეს შეუპურია, როგორც  
თილისმას,

გრძნობს სითბოს, ჰაერს, ვით რამე  
დაირს,

თან ასეთნაირს ხედავს, ვით სიჭმარს:

იწყება დიდი რამ წვეულება,  
ხონჩებით მოაქვთ ხორცეულება,  
შემწვარი ღორი ერთი და ორი, —  
აი, როგორი განძეულება.

მოაქვთ შწვანილი — ფხალი და რამე  
აქ მოტანილი, თან რომელსაშე  
ატანენ ნიგოზს... ჩამოირიგოს,  
პირველი იყოს, გინდა შესამე.

უოველივე სხვა მოაქვთ ზონჩებით,  
რომ დაიწყოს თვლა, აქ  
ჩამორჩებით.

ფრინველს და ნადირს ვადის  
შესადარს

შეხედავთ სადაც, რიცხვს ვერ  
შორჩებით.

დიდებულთა ველთ უნობობით,  
წამოცმულია წვერზე ხობობი.  
ხატკანი ჩვილი, შერე წიწილი,  
არის სიცილი ასეთი უოფით,  
უოველივე ეს უველას ეყოფა,  
მიხვება დღეებს ასეთი უოფა.

და შამფურები, როგორც  
ნუ ეხუმრები, ჯარად ეწყობა!

— საცივი ხშირ-ხშირი! — თქვა  
ლუარსაბმა. —

მხოლოდ საცივში კარგია ჩაბმა.  
იქცეს ნიაღვრად, წახლომად,  
წარღვნად

მიწა! გვიხსნას მართ საცივის ჩქაფმა!

— ბეჭი! — ეხს მყოფმა თქვა  
ლუარსაბმა. —

ბეჭთან მამყოფა, ცნოს დღემა  
მძაფრმა.

ის სულის ლევად მაქვს ნამალევად,  
შემჭრას კვლავ შეძლეად მომხდომად  
დაფმა!

აქ სხვაა ზეცა, აქ სხვა ქარი შქრის.  
ისევ მიეცა ტარიელი ფიქრს:

„აქ ვხედავ ბეცებს, თვალს რას  
ავცებ?“

აქ წიგნს დაეძებ? აქ რა უნდა  
წიგნს?“

\* \* \*

როგორ არის გულდამწყვეტი,  
მეტეზო და დიდმის ველო,  
მიდიოდე, თან ფიქრობდე:  
ეს არ არის საქართველო!

არის ხლართი რკინიგზების,  
არის ავტო-მოტო-ველო,  
არის ოჯახებიც, მაგრამ  
ეს არ არის საქართველო!

\* \* \*

არის შკითხველი  
შშვენიერ წიგნის  
და არის მხოლოდ  
გადამკითხველი...

ის ფურცლავს, ნიშნავს,  
ადარებს, ჩიჩქნის,  
მაგრამ ვინაა  
აქ გამკითხველი?

\* \* \*

გემი ვით არ იცნობს  
ზღვას ვრცელს და განიერს,  
იგიც ხომ შეზღვაურს  
სამშობლოდ ეკუთვნის?!

— მოხევევ, გახედე  
ჩვენს იმერ-ამიერს,  
ეკუთვნის თავისთავს?  
— ცხადია, ეკუთვნის!



ვიგონებ ყრმობას.  
შორს, ძლიერ შორს, ჭალები გაღმა  
კავკასიონის  
კლდოვანი მთის მოჩანდა ფერდი.  
სალამობით —  
ვით ხომალდი ასწიოს ნაღმა —  
მზით ენთებოდა  
და ჰქრებოდა ტიტანის მკერდი.

ბ ა ვ შ ვ ო ბ ი დ ა ნ ვ ე  
ის სიშორე მტანჯავდა ერთი,  
ლაჟვარდოვანი  
მიტაცებდნენ ნაქერალები,  
და ვკითხულობდი,  
ვოცნებობდი, ვმდერდი თუ  
ვწერდი, —  
მსდევდნენ, მეძახდნენ,  
მიზიდავდნენ ის მწვერვალები.  
რით შეაყენა  
ის ხომალდი გრძნეულმა დაღმა,  
შენ არ იცოდი,  
ვერც გაიგე, ისე დახერდი.  
შე მოიხვია  
მყურრობა ღრუბელთა ბაღმა,  
მოჩანდა ხვამლი,  
როგორც თრთოლა, როგორც  
ხვერდი.

როგორც უთოვლო  
ყმაწვილობის უღრუბლო ბედი,  
როგორც შემდგომთა  
ქარიშხალთა ცივი ბრჭყალები,  
როგორც სიცოცხლე,  
როგორც კუბო, როგორც ახედი —  
მსდევდნენ, მეძახდნენ,  
მიზიდავდნენ ის მწვერვალები.

მთლად დამიმონა  
ცად ნატყორცნმა ლურჯმა წიაღმა,  
შაეროვნება  
საიდუმლომ დაფარა ქედი.  
თითქოს იმ მთაზე  
ისევ ისე ვწევარ გულაღმა  
და ვარსკვლავების  
დიდი წიგნის ყოველი გვერდი  
არის თეთნულდი,  
არის უშბა, მთელი ხვანეთი,  
იმისი დილა  
და შუადღე მზით ნაალები,  
მისი საღამო  
ბინდა ლურჯი ოკეანეთი...  
მსდევდნენ, მეძახდნენ,  
მიზიდავდნენ ის მწვერვალები.



— გივირთ, კავიაროვანო...  
ბ. შირსაქაძის ნახტი.

გალაკტიონი— „მზეთა ტიტანი,  
ახალი დროის დიდი მესია,  
მედგარი მხრებით რომ აიტანა,  
მთაზე დიდება და პოეზია!“

...

წელიწადები წავლიან ქველნი,  
შეიცვლებიან ქარით სიონი,  
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,  
ისე ერთია გალაკტიონი!



ԿՈՒՆԻՍՏ ԼՆԱՅԵՐԻ



Երբ որ զայն ժամանակ ընդհանրապես  
 հիշյալ տարիներ ժողովուրդը ծանախող  
 զընդհանրապես ժողովուրդը —  
 և զայն ժամանակ թի կուսակալու?

20 հոկտեմբեր  
 1956

Գ. Մանուկյան



Երբ որ ընդհանրապես, ոչ թե ընդհանրապես  
 ընդհանրապես ընդհանրապես, ընդհանրապես —  
 Երբ որ ընդհանրապես 43 տարի ու ընդհանրապես,  
 Լատինական լեզուները երբ ևս ընդհանրապես?

1956  
 20 հոկտեմբեր

Գ. Մանուկյան



Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես ընդհանրապես,  
 16 տարի ընդհանրապես ընդհանրապես —  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես?

20 հոկտեմբեր  
 1956.

Գ. Մանուկյան



Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես,  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես...  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես —  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես "Երբ որ"?

1956  
 20 հոկտեմբեր

Գ. Մանուկյան



Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես.  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես  
 Երբ որ ընդհանրապես ընդհանրապես!

20 հոկտեմբեր  
 1956 թ

Գ. Մանուկյան





# "დღეს უნდა გადავვარდეთ!"

... ახალგაზრდობიდანვე აედევნა თვის უმკლოელობის დემონი.

... **ორჯამო** პრაქტიკულად სცადა: თავის მოწამვლა — სიუბაბუკეში და თავის დახრჩობა — სიპარმაგეში (ორჯოთვე შემთხვევით გადაარჩინა თუ გადაარჩინეს).

პირველი ცდა — 1909 წელს, უკანასკნელი — 1959 წელს!

ზუსტად ნახევარი საუკუნე სიკვდილს ეთამაშებოდა: როგორც თვითონ წერს, „ხხვადახხვა დროს 15-ჯერ გადაურჩა აუცილებელ სიკვდილს“.

... **სიკვდილს** სხვა თვალთ უყურებდა, ზომავდა, სიცოცხლევ თავისებურად და უცნაურად უყვარდა, მათ შორის საზღვარსაც ვერ ამჩნევდა თითქოს:

— **სიცოცხლე** ისე ძლიერ მიყვარს, რომ, შეიძლება, სიცოცხლის ხეყვარულის გამო, თავიც გავწირო, თავიც მოვიკლა! — უთქვამს კერძო საუბარში 1941 წელს.

ამიტომ გარეშე თვალისათვის, ახლობლის თვალისათვისაც კი, ძნელი წარმოსადგენი და შესამჩნევი აღმოჩნდა ტრაგედიის მოახლოება.

... **იმ** დღეს უფრო ყურადღებიანი, თავზიანი და ხალისიანი გახლდათ: ნაცნობებს თვითონ ასწრებდა და ესალმებოდა, უღიმოდა, კოცნიდა კიდეც...

... **სამში** საათი ალოდინეს („აღბაო მოგიხერხებთ რამესო“).

თექვსმეტკვადრატულმეტრიან ორსაწოლიან პალატაში მესამე საწოლი გამოუყვეს (თუ დამატებით ჩაუდგეს).

პალატიდან გამოვიდა და უკან აღარ შებრუნებულა (ოთხი საათი კორიდორში გაატარა).

განყოფილების გამგემ, მკურნალმა ექიმმა და შემდეგ — მორიგე ექიმმაც განყოფილების გამგის ოთახში გასინჯეს (და არა პალატაში).

... **საავადმყოფოს** სამედიცინო პერსონალს, რეჟიმსა და ოთახების განლაგებას კარგად იცნობდა: სამწუხაროდ, ბოლო დროამათი ხშირი სტუმარი გახლდათ. წინა წინა დღის ოთხჯერ იწვა, ოთხჯერვე ამავგი ფილდებაში, ნაწილად განყოფილებაში. იმ წელსაც პირველი თვის უმეტესი დღეები მეოთხე სართულს აატარა. ხუთ მარტს გასწერეს და თერთმეტი დღის შემდეგ იძულებული გახდა, მობრუნებულიყო. ექიმებისთვის ის მაინც იყო პაციენტი

გოლაკიონ ვასილის ძე ტაბიძე, დაბადებული 1891 წლის 5 ნოემბერს, მცხოვრები ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა № 4, პიპერტონისა და არტერიოსკლეროზის დიაგნოზით, რომელსაც 1959 წლის 17 მარტს მაჯა პეკონდა რითმული — 84, გულის ტონები — მიყრუებულად სისხლის წნევა 180/80, უჩიოდა გულის არეში ტკივილებს და საერთო სისუსტეს, შეკითხვაზე იძლეოდა სწორ პასუხს, როგორც ავადმყოფი, იყო წესიერი და დამჯერე, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

პირველ საათზე დააწვინეს (უფრო ზუსტად — პირველს ათი წუთი აკლდა).

ტრაგედია ექვსზე მოხდა (უფრო ზუსტად — ექვსს ათი აკლდა).

ხუთი საათი საქაო დროა.

... **წუნარი** საათი იწურებოდა... იწურებოდა მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, უკანასკნელი წამები...

„**დღეს უნდა გადავვარდეთ, თორემ ცუდ ხასიათზე ვარ!**...“

იქნებ უბრალო შეკითხვას თუ შეხშიანებას გამოეფხიზლებინა?!

მაგრამ არა: ექვსი საათისათვის შეეხშიანა სანიტარი, რომელმაც პირველ საათზე ამოაცილა და ახლა ვესტიბიულს ასუფთავებდა. სთხოვა, წასულიყო და პალატაში დაწოლილიყო, დაესვენა, რადგან, როგორც ჩანს, შეამჩნია, განუწყვეტილად დერეფანსა და ვესტიბიულში რომ ტრიალებდა და წრიალებდა. იდგა და შეპყურებდა სანიტარს, მაგრამ უკვე აღარ უპასუხა თუ აღარაფერი ესმოდა...

„**დღეს უნდა გადავვარდეთ, თორემ ცუდ ხასიათზე ვარ!**...  
დღეს, დღეს!..  
უხათუოდ!..  
... ეხლა შემიძლია!“

მესამედ და უკანასკნელად შევიდა ოთხმოდამე თორმეტე ოთახში, უაივნო თავისუფალ ოთახში, განყოფილების გამგის კაბინეტში, მიხურა კარი, გაიხადა ავადმყოფის ხალათი, დადო ტახტზე, აიღო გენური სკამი, მიიტანა ფანჯარასთან, გამოალო ფანჯარა, ორმაგი ფანჯარა, ავიდა ჭერ სკამზე, მერე — ფანჯრის რაფაზე და...

(ნაწყვეტი მახტანბ ჯამახანაძის წიგნიდან „უცნობი“)

გვერდი 60, 680  
№ 21-24. (1674). ნომერი  
არ. დეკემბერი  
1923 წლის გეგმირთქა

**მთავარი რედაქტორი**  
**საზღვაო კოლეჯი**  
მუთაზ აბაშიძე, ვახუ  
აბრეჯინი, ნომერი ბარათი  
არ. რედაქტორი, ექმალ  
დღეს (მხატვართედაქ  
ტორი). სიდას მთავარი  
არ. რედაქტორი, მთავარი  
დღესიდან მთავარი, ხე  
დამ საზღვაო (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე),  
ქალაქი ჩაქვანი, იანს  
წაქვანი.

**ტექნიკური რედაქტორი**  
გიორგი დუნილა

გადიცა ასაწყობად 14. 12.  
97. წ. გელმოწეროლია  
დასაბეჭად 27. 01.  
92 წ. ქალაქის ზონა  
80x90/8, ფიზიკური ნა  
ბეჭდი ფურცელი 3. საად  
რეცენსი-საგამოცემო  
ოთახში 3.6. სქართველთ  
ქურნალ-გაზეთების გამო  
შეცვლილა „სამშობლო“,  
შეკვ. № 2168. ტირ. 27 000.  
ქურნალი გამოდის თვეში  
ორჯერ, რედაქტორი შე  
მოსული მასალები ავტო  
რებს არ უხრუნდნენ.

გვეს მთავარი რედაქტორი  
ახალი-მ. მუსთაფევი  
პრინციპი № 68.

ტელეფონები: მთავარი რე  
დაქტორის — 87-55-34,  
მთავარი მოადგილის —  
93-19-47, მხატვართედაქ  
ტორის — 87-02-38, გვე  
ყოფილია გამოცემის —  
93-10-74, 93-49-30, რე  
დაქტორ-ტექნიკური —  
99-02-38, მოგვარებანი-  
ნის — 95-78-49

Сатария - издательство  
наша страна «НИЗ-  
АНГИ» (на территории  
наша) Тбилиси, по  
Руставели № 42

შპსი გე მსს

ნაქვნი 26137



6146/25

გერმანული  
ბიბლიოთეკა



195 წლისათვის

\*\*\*

უვავილებს მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:  
იწვა გალაქტიონი და თავისას ფიქრობდა.

აღმართ-აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა  
იწვა გალაქტიონი — მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

აღმათ, შუბლიც სტკიოდა — მაინც, მეფურ იერით,  
იწვა მკერდბუშბერაში, ხნიერი და ძლიერი.

რალაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა  
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს შუე ოქროცურვილი —  
იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.

ღირიუორი თვით იყო რაც მოხდა და გათავდა  
და რაც ახლა ხდებოდა, — მისი უინი მართავდა...

უვავილებს მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,  
იწვა გალაქტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.

უცბად შავმოვლებული შეროჩქოლდნენ დროშები,  
უცბად მამადავითის ბეჭესთან შედგნენ მგონებნი:

კონსტანტინე-ბატონთან ლეონიძეც იქ იდგა.  
„რა ჰქნა?“ — უმისამართოდ ჩიქოვანმა იკითხა.

„რა ჰქნა?“ — ახლა ირაკლიმ თქვა და თავი დახარა.—  
იმ დღეს ავად მენიშნა ეს ამდენი ჭადარა...

სდუმდნენ დიდოსტატები, იდგნენ მხრების კანკალ  
დასწყებოდა მთაწმინდას საუკუნის სამკალი.

წინ ვვიძლოდა სიკვდილით სივრცეების მხილველი,  
მიდიოდა ამაყი და სიკვდილშიც პირველი.

იყო ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ტალახი,  
იყო ფრთხილად გაჭრილი წმინდა ძვალთშესალაგ

ალაგ სამარხ მიწაში იყო მარტის ამინდით  
ტალახში აწეილი უძველესი კრამიტი.

რალაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა,  
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგა

ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,  
ვინც მშობლისთვის იბრძოდა,  
მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა!

მურმან ლეგანიძე

ქურნალში დაბეჭდილია ნახატები  
ლიტერატურული და ფოტოგრაფიული  
დავით ნაცვლიშვილის (დონი), გიორგი  
ლა ფირცხალავას, ჩავაზ თვარაძის  
დავით გუგუშაშვილი-ვედუარდ გიორგი  
ლაშვილის არქივში დან და ვა  
ტანზ ჯავახიშვილი დას „უცნო  
ბი“.